ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 1 თებერვალი, 2022 №22 (8800) ფასი: 60 თეთრი

გორში საკუთარი შვილის განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით პოლიციამ 82 წლის მამაკაცი დააკავა

„სააკაშვილი თავისუფალი რომც იყოს, დღეს ვერაფერს შეცვლიდა“

ვახტანგ ძაბირაძე: „ნაციონალები პარლამენტში სახულიგნოდ შედიან და არა სამუშაოდ“

„პოლიტიკურ დაპირისპირებაში „ოცნება“ იგებს და არა ოპოზიცია“



„პარლამენტი დღეს მტრის ბანაკია, მაგრამ იქაც უნდა ვიყოთ“

ხატია დეკანოიძე: „ძალიან სამარცხვინოა რეზოლუციის ის ტექსტი, სადაც რუსეთი არ არის მოხსენიებული აგრესორად“

„ეს ხელისუფლება ქართული სირცხვილია“

ლევან სამუშია: „რუსი ოპოზიციონერი ქვეყანაში არ შემოუშვეს და გავრილოვს ფიანდაზით ხვდებიან“

„ქართული პროდასავლური პარტიები რუსეთის ემსახურებიან“

მირიან მირიანაშვილი: „რუსეთი უკრაინაში აუცილებლად დამარცხდება“

ლევან დავითაშვილი: „პანდემიამდელ მაჩვენებელს ეკონომიკა 3.1%-ით უსწრებს“

ნათელაშვილი პაპუაშვილს: „მომიკითხეთ ბიძინა ივანიშვილი“



ISSN 1987-9385

2 გურამ მაჭარაშვილი: „ნაცმოძრაობამ და გახარიას პარტიამ ხელი მოაწერეს და ამბობენ, არ ვართ ცოლ-ქმარიო“

4 ვახტანგ ჭარაია: „ორნიშნა ეკონომიკური ზრდა 2021 წელს რეალური მოვლენა გახლდათ, არადა, დაუჯერებლად ჩანდა“

5 ქუთაისში 5 მანქანა არასრულწლოვნებმა გაქურდეს

6 მამაკაცს ტუალეტში შესვლამ მოგება მოუტანა

„ეს ხელისუფლება ქართული სირცხვილია“

ლევან სამუშია: „რუსი ოპოზიციონერი ქვეყანაში არ შემოუშვეს და გავრილოვს ფიანდაზით ხვდებიან“

იაგო ნაცვლიშვილი

რატომ თვლის, რომ „ქართული ოცნება“ სინამდვილეში ქართული სირცხვილია? დაუჭერენ თუ არა მხარს უკრაინის მხარდამჭერ რეზოლუციას ამ ფორმით და ელოდებიან თუ არა მამუკა ხაზარაძისთვის დეპუტატის მანდატის მოხსნას? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ლელოს ერთ-ერთი ლიდერი ლევან სამუშია საუბრობს.

– მწვავე გამოსვლა გქონდათ „ტვ პირველის“ ეთერში, სადაც ხელისუფლებას უწოდეთ სირცხვილი. ეს ნიშნავს თუ არა იმას, რომ ლელოში შეჯერებულები ხართ და რეზოლუციას ამ ფორმით მხარს არ დაუჭერთ?

– პირველ რიგში უნდა ვთქვა ის, რომ რაც ხდება უკრაინის თემასთან დაკავშირებით, ეს არის სირცხვილი. ეს „ქართული ოცნება“ კი არა, ქართული სირცხვილია. იმიტომ, რომ შთაბეჭდილება იქმნება ისეთი, თითქოს კამერუნის ან ნიგერიის პარლამენტი ღებულობდეს ამ გადაწყვეტილებას. ისინიც კი არ იკადრებდნენ ამას. უბრალოდ, სახელის დარქმევის ეშინიათ ამ ადამიანებს. ვის ეშინია და რომელიც ქვეყნის ხელისუფლებას ეშინია, ამას ხომ აქვს მნიშვნელობა?! ჩვენი ქვეყნის 20% ოკუპირებულია და აგერ მტერი დედაქალაქიდან 30 კილომეტრში გვიდგას და ჩვენ უნდა გვქონდეს საერთაშორისო დახმარების იმედი და სურვილი. არავინ არ ლაპარაკობს სამხედრო ჩარევაზე, უბრალოდ, სახელი რომ დაარქვა, ამის ეშინიათ. ეს ვთქვი და ვიმეორებ, მინდა თქვენი გაზეთის საშუალებითაც მივმართო ხელისუფლებას – აბა ერთი თუ გაბედავენ და თუ იტყვიან სიმართლეს. არც ის გამიკვირდება თქვან თუ ვინ მოკლა შინდისის გმირები, ვინ მოკლე ანწუხელიძე, ვინ მოკლა ტატუნაშვილი?

– ელოდებით, რომ ამ კითხვაზე პასუხს მიიღებთ?

– ეს წარმოუდგენელია, რაც ხდება. მე იმას ვამბობ, რომ შესაძლოა ამაზეც ვერ ამოიღონ ხმა. ხომ ხედავთ, რა სიტუაციაში არიან. აგერ რუსი ოპოზიციონერი ქვეყანაში არ შემოუშვეს, პოზნერს კი ესკორტით ემსახურებიან, გავრილოვს საერთოდ ფიანდაზით ხვდებიან საქართველოს პარლამენტში. კატასტროფა ხდება და სირცხვილია, ეს ყველაფერი.

რაც შეეხება რეზოლუციას, ამასთან დაკავშირებით ლელო ბოლომდე იბრძვის და დარწმუნებული ვარ, სხვა ოპოზიციონერი პარტიებიც ბოლომდე იბრძოლებენ იმასთან დაკავშირებით, რომ სიტყვა „რუსეთი“ ჩაიწეროს რეზოლუციაში და ადეკვატურები ვიყოთ.

– თუ არ ჩაიწერება, მხარს არ დაუჭერთ?

– ამასთან დაკავშირებით გეტყვით იმას, რომ თქვეს, ამის წინააღმდეგი არავინ წავაო. გასაგებია, რომ არავინ არ გაკიცხავს, მაგრამ შენ ადეკვატურობაზეა საუბარი, თორემ შენ იმას კი არ გეტყვიან, ეს რა გაგვიკეთეო.

რაც შეეხება „ლელოს“ პოზიციას ამასთან დაკავშირებით, „ლელო“ თავის პოზიციას დააფიქსირებს. ამ წუთას რაც შემიძლია გითხრათ ისაა, რომ მაქსიმალურად ვიბრძვით, რომ სიტყვა „რუსეთი“ მოხვდეს დეკლარაციაში, რაც რეალობაა. ანუ მოხდეს რეალობის ასახვა და არა გაფერმკრთალება.

– ანუ, თუ რუსეთი არ ჩაიწერება, დაუჭერთ თუ არა რეზოლუციას მხარს, მაგ კითხვაზე პასუხი ჯერ არ გაქვთ?

– თუ რუსეთი არ ჩაიწერება, ლელო მიიღებს შესაბამის ადეკვატურ გადაწყვეტილებას. ყოველ შემთხვევაში, ეს გადაწყვეტილება ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით იქნება მიღებული, მაგრამ მე არ ვარ პარლამენტის წევრი და არ მინდა ვისაუბრო პარლამენტის წევრებისა და ფრაქციის სახელით.

– რატომ იქცევა მმართველი პარტია ასე და რაღა უნდა დაუშვა ამაზე მეტი პრორუსული პოლიტიკის თვალსაზრისით?

– ეს არის შიში და იმის გამოვლინება, ვინც არის დღეს ხელმძღვანელი საქართველოში და ვის ემსახურება საქართველოს ხელისუფლება. ამის პირდაპირი გამოვლინებაა ეს და მეტი არაფერი.

– ამ ფონზე რაღაც მოძრაობები არის, მათ შორის, თქვენი პარტიის ერთ-ერთი ლიდერის ბადრი ჯაფარიძის წინაღმდეგაც. რა მოლოდინები გაქვთ ამ მიმართულებით – მოუხსნიან მას დეპუტატის მანდატს?

– ამ მიმართულებით... სამართლებრივი მსჯელობა „ქართული ოცნების“ საქციელზე წარმოუდგენელია. როგორც იურისტი, გეუბნებით, რომ უფლებამოსილების შეწყვეტის არანაირი საფუძველი არ არსებობს. სხვა შემთხვევაში რა გითხრათ, დაიწყებს თუ არა მორიგ პოლიტიკურ დევნას „ოცნება“, არ ვიცი. ახლა ჩვენ პარტიას და ჩვენი პარტიის ლიდერებს არ აკლიათ პოლიტიკური დევნა და თუ ამას განახორციელებენ, ამით ჩვენ ვერ შეგვაშინებენ.

– გუშინ იყო დაგეგმილი, მაგრამ გადაიდო. მიზეზი რეალური გგონიათ, რომ კვორუმი კოვიდის გამო ვერ შედგა თუ პროცესს წელავენ?

– არ ვიცი. არც ვინტერესდებით ამ მიზეზებით. ჩვენ საქმეს ვაკეთებთ და მათ, რაც უნდათ, ის გააკეთონ.

– ოპოზიციის მოქმედებებს რაც შეეხება, ბევრ ადამიანს აქვს ნიჰილიზმი და ეს მათ შორის „ენ-დი-აი“-ს კვლევებიდანაც გამოჩნდა. ხომ არ ფიქრობთ სტრატეგიის შეცვლაზე?

– სიმართლე გითხრათ, ეს დამოკიდებულება მესმის. როდესაც ქვეყანაში ასეთი სიდუხჭირეა და ადამიანები შიმშილობენ, იქ გასაგებია მათი დამოკიდებულება პოლიტიკური სპექტრის მიმართ. რაც შეეხება სტრატეგიას, ჩვენი პარტიის ლიდერები ყოველდღიურ რეჟიმში ვართ გასულები მოსახლეობასთან და აქტიურ შეხვედრებს ვაწარმოებთ. ასევე აქტიურად ვართ ჩართულები საპარლამენტო საქმიანობაში. ვითხოვთ ანტიკორუფციული საგამოძიებო კომისიის შექმნას და ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში მაქსიმუმს გავაკეთებთ იმისთვის, რომ მშვიდობიანად გავუშვათ ხელისუფლება.

– ეს მაქსიმუმი რა არის?

– მაქსიმუმია ის, რისი შესაძლებლობაც გვაქვს. კანონით დაშვებულ ყველა ფორმას გამოვიყენებთ. როგორც გითხარით, გასულები ვართ მოსახლეობასთან. მაგალითად, 3 დღის წინ მამუკა ხაზარაძე დუშეთის რაიონში იყო და ჩვენი პარტიის ლიდერები სხვადასხვა რაიონებში დავდივართ, მათ შორის პირადად მეც.

ხშირ შემთხვევაში ამის მასმედიის საშუალებით გავრცელებასაც ვერიდებით. იმიტომ, რომ მოსახლეობა პირდაპირ გვთხოვს ამას, რადგან აქვთ შიში და ეშინიათ ის ლუკმაპურიც არ დაკარგონ, რაც შემორჩენილი აქვთ. უფრო გულწრფელია საუბარი, როდესაც ტელეკამერები არ არის და გავრცელება არ ხდება. ჩვენი მიზანია, რომ ჩვენი მოქალაქეების გასაჭირი მოვისმინოთ და ვიმსჯელოთ გადაჭრის გზებზე.

– იქამდე ვართ მისულები, რომ უკვე სახის გამოჩენაც კი პრობლემაა?

– არაერთხელ მოსულან ჩვენთან წინასაარჩევნო პერიოდშიც. იყო ასეთი შემთხვევა, როდესაც მე და მამუკა ხაზარაძე ვიყავით ქუთაისში და შორიდან მოგვესალმა ერთ-ერთი ქალბატონი და გვითხრა მხარს გიჭერთო, როდესაც გამოლაპარაკება ვცადეთ, გვითხრა, რომ ახლო ვერ მოვიდოდა, რადგან საჯარო მოხელე იყო და მას პრობლემა შეექმნებოდა. ასეთი არაერთი შემთხვევა ყოფილა. სამწუხარო რეალობაა, მაგრამ ამას თვალი უნდა გავუსწოროთ.

ირაკლი ღარიბაშვილს ომიკრონი დაუდასტურდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს ომიკრონი დაუდასტურდა. მთავრობის პრესსამსახურის ინფორმაციით, მთავრობის მეთაური თავს კარგად გრძნობს და მუშაობას დისტანციურ რეჟიმში განაგრძობს.

პრემიერ-მინისტრი სრულად ვაქცინირებულია. მას კოვიდ-19 გეგმური ტესტირების ფარგლებში დაუდასტურდა.

ნათელაშვილი პაპუაშვილს: „მომიკითხეთ ბიძინა ივანიშვილი“

ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი პარლამენტის თავმჯდომარეს, შალვა პაპუაშვილს სოციალურ ქსელში მიმართავს და წერს:

– ძალიან ვწუხვარ, რომ ჩემი თითქმის ნახევარი თვის წინ გამოგზავნილი წერილი პარლამენტში შესაძლო შემოსვლის გამო, საორგანიზაციო--პროცედურული საკითხების გადაწყვეტასთან დაკავშირებით, არა მარტო რეაგირების გარეშე დარჩა, არამედ, რაც ყველაზე გროტესკულია, თავზარდაცემულებმა დაიწყეთ ჩემთვის სადეპუტატო უფლებამოსილების შეწყვეტაზე მოქმედებები. მაინტერესებს, მაშინ რატომ მითხარით უარი სადეპუტატო სტატუსის შეწყვეტაზე 2021 წლის ივლისში? როდესაც მანამდე 7 თვე არ მივლია ასევე პარლამენტში. ის საპატიო იყო და შემდგომი ბოიკოტი, რაც მთელი მსოფლიოს გასაგონად განვაცხადე, არასაპატიოა? მოკლედ, ასეთ იურისპრუდენციას გასწავლიდნენ გერმანიაში?

იმედია, ამჯერად თქვენი ბოიკოტის გამო ამ სესიის გაცდენებსაც არ ჩამითვლით არასაპატიოდ. მომიკითხეთ ბიძინა ივანიშვილი, – წერს ნათელაშვილი ფეისბუქზე.

გურამ მაჭარაშვილი: „ნაცმოძრაობამ და გახარიას პარტიამ ხელი მოაწერეს და ამბობენ, არ ვართ ცოლ-ქმარიო“

„ხელი მოაწერა ცოლ-ქმარმა და ამბობენ, არ ვართ ცოლ-ქმარიო – ძალიან კარგ უნისონში თანამშრომლობენ გახარიას პარტია და ნაციონალური მოძრაობა“ – ამის შესახებ „ქართული ოცნების“ დეპუტატმა, გურამ მაჭარაშვილმა განაცხადა.

როგორც უმრავლესობის წევრმა აღნიშნა, პარტია „საქართველოსთვის“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთად ყოფნა კოალიციაში, მანამდეც ფაქტი იყო.

– ჩვენ კი არ ვფიქრობთ, ფაქტი დავადასტურეთ, საზოგადოებას ვუთხარი, რომ ეს არის მოცემულობა – ხელი მოაწერა ცოლ-ქმარმა და ამბობენ, რომ არ ვართ ცოლ-ქმარიო. ჩვენ ვნახეთ დოკუმენტი, რომ ხელი მოწერილია. ამტკიცონ, რომ არ ვართ, ეს მათი საქმეა, ჩვენი ინტერესის სფერო ეს არ არის. რასაც ვამბობთ, სამწუხაროდ, უფრო და უფრო მაღალი ხარისხით მტკიცდება, ძალიან კარგ უნისონში თანამშრომლობენ გახარიას პარტია და ნაციონალური მოძრაობა. ეს იყო ცხადი, მაგრამ ნელ-ნელა, ეტაპობრივად გვიადვილებენ ამის მტკიცების შესაძლებლობას.

შეიძლება მორიგი „კლოუნადა“ ვიხილოთ. ეს ორგანიზაცია ბუნებით არის ასეთი და ამ ორგანიზაციასთან ნებისმიერ ფორმატში რომ იქნები კოალიციაში, ეს იმას ნიშნავს, რომ სხვა მიზნები ჰქონდათ ადრე და დღეს ეს უკვე არის გამოხატული, – განაცხადა გურამ მაჭარაშვილმა.

გიორგი ბოტკოველი: „რუსთავის საკრებულოში ხელისუფლებას წარმოადგენს ოპოზიცია“

შეიძლება ვთქვათ, რომ რუსთავის საკრებულოში ხელისუფლებას წარმოადგენს ოპოზიცია და ვფიქრობ, რომ ეს არის ლოგიკური დასასრული, – ამის შესახებ ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა, გიორგი ბოტკოველმა გადაცემაში „360 გრადუსი“ განაცხადა.

მისი თქმით, აღნიშნული გადაწყვეტილებით, მუნიციპალიტეტს მიეცემა საშუალება, რომ დადგეს ის რეალობა, რომელ რეალობასაც იმსახურებს.

– ამ ყველაფერს ჩვენ შეიძლება ვუწოდოთ ლოგიკური გადაწყვეტილება, რომელიც რუსთავის საკრებულოში არსებულმა ოპოზიციურმა პარტიებმა მიიღეს. თუმცა დღეის მდგომარეობით შეიძლება ვთქვათ, რომ რუსთავის საკრებულოში ხელისუფლება წარმოადგენს ოპოზიციას და ვფიქრობ, რომ ეს არის ლოგიკური დასასრული. არამარტო რუსთავში, იგივე წალენჯიხაში, იგივე ჩხოროწყუში, იგივე ზუგდიდში, რომელშიც დარწმუნებული ვარ, გავალთ იმ შედეგზე, რომ პასუხისმგებლობა აიღოს ოპოზიციამ ხალხის არჩევანის შესაბამისად. დღეს ამ გადაწყვეტილებით უფრო მეტად მიეცემა მუნიციპალიტეტს საშუალება, რომ აღსრულდეს ის რეალობა, რომელ რეალობასაც იმსახურებენ იქ მცხოვრები ადამიანები, – განაცხადა გიორგი ბოტკოველმა.

გიორგი ბოტკოველის განცხადებით, რუსთავის საკრებულოში მომხდარს არ შეიძლება, ვუწოდოთ ნაციონალური მოძრაობისა და პარტია „საქართველოსთვის“ ალიანსი, არამედ ეს იყო ოპოზიციის ერთობლივი გადაწყვეტილება.

– როგორ შეიძლება, ალიანსი დავარქვათ? ეს არის ოპოზიციის ერთობლივი გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილების შესაბამისად შედგა ის, რაც შედგა და მოხდა ის, რაც მოხდა. ასევე, იგივე სიტუაციაა სენაკში. ანალოგიური სხდომა უნდა ჩატარებულიყო, თუმცა ჩვენ ვნახეთ, რომ ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ხელი შეეშალა სხდომის ჩატარებისთვის და სენაკში ვერ დასრულდა ისე, როგორც უნდა დასრულებულიყო, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ ესეც ძალიან მალე მოხდება, – განაცხადა გიორგი ბოტკოველმა.

შეგახსენებთ, რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარედ გიორგი გახარიას პარტიის „საქართველოსთვის“ წევრი ნოდარ შეროზია აირჩიეს.

მიხეილ სააკაშვილი: „ქართულ ოცნებას“ რუსთავშიც ჩაუვარდა გეგმა“

– მივესალმები რუსთავში საკრებულოს თავმჯდომარის არჩევას. მიუხედავად უამრავი მცდელობისა, „ქართულ ოცნებას“ ამ ქალაქშიც ჩაუვარდა გეგმა, ხელში ჩაეგდო საკრებულოები, იმ მუნიციპალიტეტების ნაწილში, სადაც ოპოზიციამ გაყალბების მიუხედავად გამარჯვების გაფორმება შეძლო, – ამის შესახებ ნათქვამია მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილი მორიგ მიმართვაში.

როგორც სააკაშვილი აღნიშნავს, ეს წარმატება რუსთავში, ისევე, როგორც ჩხოროწყუსა და წალენჯიხაში, აჩვენებს, რომ პრინციპული ნაბიჯებით და საერთო ძალისხმევით ხელისუფლების დამარცხება შესაძლებელია და „ქართული ოცნების“ რყევის პროცესი სახეზეა.

– იმედი მაქვს, ზუგდიდსა და სენაკში მოვლენებიც ანალოგიურად განვითარდება.

ახლა მთავარია, რუსთავში და სხვა საკრებულოებშიც ჩვენი საქმიანობა მიმართული იყოს ჩვენი მოქალაქეების წინაშე არსებული უამრავი პრობლემის წამოწევისთვის, გადაჭრის გზების შეთავაზებისა და „ქართული ოცნების“ კორუფციული ნაბიჯების მხილებისათვის. ჩვენი მოქალაქეების სასიკეთოდ გამარჯვების რწმენით და საყოველთაო აქტიურობით ჩვენ მივაღწევთ ვადამდელ არჩევნებს, რომელიც საქართველოში ვითარების შეცვლისა და სწრაფი განვითარების დასაწყებად ერთადერთი გზა არის, – აცხადებს სააკაშვილი.

ტყიბულის შახტში დაშავებული 1 ადამიანი გარდაიცვალა

აფეთქება ტყიბულის შახტში – დაშავებული 1 ადამიანია გარდაიცვალა. ინფორმაცია ტყიბულის კლინიკის გენერალურმა მენეჯერმა იური ელიაშვილმა დაადასტურა.

მისივე თქმით, სულ კლინიკაში 9 ადამიანი შეიყვანეს. როგორც ის ამბობს, ყველა მათგანის მდგომარეობა მძიმეა, მათგან ერთის გადარჩენა კი ვერ მოხერხდა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკვერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„სააკაშვილი თავისუფალი რომც იყოს, დღეს ვერაფერს შეცვლიდა“

ვახტანგ ძაბირაძე: „ნაციონალები პარლამენტში სახულიგნოდ შედიან და არა სამუშაოდ“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ვახტანგ, ხატია დეკანოიძის განცხადებით, ნაციონალური მოძრაობა პარლამენტში შედის. მეორე მხრივ, კობა ნაყოფიამ განაცხადა, უახლოეს დღეებში ცნობილი გახდება პროტესტის რა ახალ ფორმას მიმართავს სააკაშვილი. როგორ ფიქრობთ, რა ხდება მთავარ ოპოზიციურ პარტიაში?

– ნაციონალურ მოძრაობაში დღესაც იმაზე რომ მსჯელობენ, პარლამენტში შევიდნენ თუ არ შევიდნენ, გამოდის, რეალობის შეგრძნების დონე მინიმუმამდე აქვთ დასული. წელიწადზე მეტია პარტია ბოიკოტის რეჟიმშია და როდესაც აქედან არაფერი შედეგი არ არის, არც ელექტორალური ბაზის ზრდის თვალსაზრისით, არც დასავლეთისგან მძლავრი მხარდაჭერის კუთხით, ხომ უნდა დაფიქრდე, რომ ეს არ არის ის გზა, რომელიც შედეგს მოგიტანს. პარტიაში რადიკალიზმის მომხრეები, როგორც ჩანს, ვერ აცნობიერებენ, რომ საზოგადოებაში ამ გზას მხარდაჭერა არ აქვს.

დღეს, მიხეილ სააკაშვილი რომ იყოს თავისუფალი, დავუშვათ, არ ყოფილა ის ციხეში, კი არ გამოუშვეს, არამედ საერთოდ არ ყოფილა დაპატიმრებული, ვერაფერს შეცვლიდა.

– ვერც ქუჩის მობილიზებას ვერ შეძლებდა?

– ვერა, ვერ შეძლებდა, რადგან მოსახლეობაში არ არის ეს განწყობა. 2003 წელსაც და 2012 წელსაც ადამიანებში, ქუჩაში აზრი მუსირებდა – ოღონდ ესენი არ იყვნენ და ვინც გინდა მოვიდეს! დღეს ხალხში ეს აზრი არ არის. როდესაც საზოგადოებაში იქნება ასეთი

განწყობა, აქამდე მივა საქმე – ოღონდ ესენი არა და ვინც გინდა იყოს, მაშინ ქუჩის აგორებას არაფერი უნდა. ამიტომ, გაუგებარია, რატომ აქვთ ქუჩის იმედი?! რატომ არ ეძებენ სხვა ფორმებს. რატომ არ მიმართავენ სხვა პოლიტიკურ გზებს.

რაც შეეხება პარლამენტში შესვლის გადაწყვეტილებას, არ ვარ დარწმუნებული, რომ პარლამენტში ქუჩას არ შეიტანენ და ეს არ მოიტანს შედეგს. მაგიდაზე ასვლა, რაღაც სითხის დასხმა და ა.შ. ეს პერფორმანსია, რომელიც არაფერს არ ნიშნავს ამ ქვეყნის მოქალაქეებისთვის. მათ საქმე უნდათ. სერიოზულ საკითხებზე სერიოზული დისკუსიის მოწყობა უნდა შეძლონ. „ქართულ ოცნებას“ დისკუსიაში მაინც უნდა მოუგონ და აჯობონ. გასაგებია, ხმით ვერ აჯობებენ. ელემენტარული მათემატიკაა, მეტნი არიან, მაგრამ გონიერებაში, მსჯელობაში, დისკუსიაში უნდა აჯობონ, ამაშია საქმე. ეს უნდა დაინახოს ხალხმა, რომ სიძლიერე სიმრავლეში კი არ არის, გონიერებაშია. ეს უნდა დაანახონ ამომრჩეველს.

– შეძლებენ?

– თუ ქუჩას გააგრძელებენ, პარლამენტში ვერ შეძლებენ. ნამდვილად ვერ შეძლებენ. სერიოზულ თემებში უნდა შეძლონ „ქართული ოცნების“ დეპუტაციის დამარცხება და არა მაგიდაზე ასვლაში. ხმათა უმრავლესობით ყოველთვის „ქართული ოცნება“ მოიგებს. ამიტომ, არის საჭირო სხვა რაღაცის მოფიქრება. ისეთის, რომელიც ამ ქვეყნის მოსახლეობის ინტერესებთან იქნება თანხვედრილი. ეს არის გასაკეთებელი და შესაძლებელი საკრებულოების დონეზეც, მაგრამ ამისთვის სერიოზული ანალიზი და დაფიქრებაა საჭირო. ამიტომ, გადაწყვეტილება პარლამენტში შესვლასთან დაკავშირებით სწორია, ადრეც უნდა გაეკეთებინათ, მაგრამ ახლა მთლიანად ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, შიგნით რას იზამენ, რა პოლიტიკას გაატარებენ.

„პოლიტიკურ დაპირისპირებაში „ოცნება“ იგებს და არა ოპოზიცია“

– „ქართულ ოცნებას“ შეიძლება არც აწყობს მათი შესვლა?

– რა თქმა უნდა. მისთვის ჯობდა ნაციონალური მოძრაობა ქუჩაში დარჩენილიყო, რაც ნახა, რომ ქუჩიდან ვერაფერ შედეგს აღწევს. უფრო ადვილად შეძლებდა მარგინალიზებას, რასაც ახლა პარლამენტში ეცდება. უკვე მათი გზავნილია, რომ ნაციონალები პარლამენტში „სახულიგნოდ“ შედიან და არა სამუშაოდ.

ვინმეს მოსწონს თუ არ მოსწონს, დღეს, პოლიტიკური პროცესი „ქართულ ოცნებას“ მიჰყავს, სრულად აკონტროლებს ამ პროცესს. მას შეუძლია სააკაშვილი გამოუშვას ან არ გამოუშვას, გაუშვას სამკურნალოდ ან არ გაუშვას.

– თუმცა, რამდენად გონივრულად მართავს ის ამ პროცესს? თუნდაც ელენე ხოშტარიასთვის, ბადრი ჯაფარიძისთვის და შალვა ნათელაშვილისთვის საპარლამენტო უფლებამოსილების შეწყვეტა, რამდენად გონივრულია?

– მე არ ვამბობ, რომ გონივრული, გააზრებული პოლიტიკური პროცესი მიჰყავს ქვეყნის მართვასთან დაკავშირებით და ამ მხრივ ყველაფერს აკონტროლებს, მაგრამ ნათელაშვილს, ხოშტარიასა და ჯაფარიძეს უნდა დატოვებს, უნდა არ დატოვებს იქიდან გამომდინარე, იმ წუთში რა აწყობს. პოლიტიკურ დაპირისპირებაში „ოცნება“ რომ იგებს და არა ოპოზიცია, ამაზე ვსაუბრობ.

თუ ოპოზიცია მიხვდება, რომ „ქართული ოცნება“ უნდა გადმოიყვანოს ხალხისთვის საჭირბოროტო საკითხებზე სამსჯელოდ და არ დაუტოვებს სხვა გზას, მაშინ შეძლებენ შედეგის დადებას, მაგრამ თუ გააგრძელებენ გაუგებარ პოლიტიკურ დაპირისპირებაში ჩაყოლას, რაც აწყობს „ოცნებას“, კისერსაც მოიტეხენ. დარწმუნებული ვარ, „ოცნება“ ეცდება, ეს თამაშის წესი გააგრძელოს და ოპოზიციას კისერი მოატეხინოს.

„პარლამენტი დღეს მტრის ბანაკია, მაგრამ იქაც უნდა ვიყოთ“

ხატია დეკანოიძე: „ძალიან სამარცხვინოა რეზოლუციის ის ტექსტი, სადაც რუსეთი არ არის მოხსენიებული აგრესორად“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ხატია დეკანოიძე პასუხობს.

– ხატია, ნაციონალური მოძრაობის გადაწყვეტილება საზოგადოებისთვის უკვე ცნობილია. თქვენ წყვეტთ ბოიკოტს და უბრუნდებით საპარლამენტო საქმიანობას. რამდენად იყო აზრთა სხვადასხვაობა და რატომ შეიცვალა თქვენი გადაწყვეტილება ბოიკოტთან დაკავშირებით?

– დიახ, ჩვენ ვწყვეტთ ბოიკოტს და ვაგრძელებთ საპარლამენტო მუშაობას. რა თქმა უნდა, აზრთა სხვადასხვაობაც იყო, მაგრამ აქ ორი ცენტრალური საკითხია: პირველი, ეს არის მიხეილ სააკაშვილის საკითხი და მეორე, ზოგადად ადამიანების პრობლემებზე საუბარი. მე მესმის, რომ მტრის ბანაკია დღეს პარლამენტი, მაგრამ მტრის ბანაკშიც უნდა გვყავდეს ჩვენი წარმომადგენლობა. იმიტომ, რომ ყველგან არის აქტიურობა საჭირო, ქუჩაშიც, პარლამენტშიც, ამიტომ ვფიქრობდით ბევრს ამ საკითხზე და მე მიხარია, რომ ერთობლივად შევჯერდით ამ გადაწყვეტილებაზე, როგორც გუნდი.

– შეწყვიტეთ ბოიკოტი და ჩაერთვებით საპარლამენტო მუშაობაში?

– დიახ. ჩავერთვებით საკმაოდ აქტიურად.

– ორი ცენტრალური საკითხია და ერთ-ერთი მთავარი მიხეილ სააკაშვილს უკავშირდებაო, ბრძანეთ საუბრის დასაწყისში. რას გულისხმობთ, რა გეგმები გაქვთ მასთან დაკავშირებით?

– აქტიურად გაგრძელდება ზეწოლა და პროტესტი. იცით, რომ საგამოძიებო კომისიის შექმნას ვგეგმავთ. აქტიურად ვმუშაობთ ხმების მოგროვებაზე. ჩვენ პარლამენტში დავარეგისტრირებთ დროებით საგამოძიებო კომისიას, რომელიც შეისწავლის საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიმართ შესაძლო ძალადობრივი, შეურაცხყოფელი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ფაქტებს.

– როდის მოხდება კომისიის დარეგისტრირება?

– ჩვენ კომისიას დღესვე დავარეგისტრირებთ. ჩვენ ამ კომისიაზე მიხეილ სააკაშვილის წარდგენას და გამოკითხვას მოვითხოვთ. ჩვენი საპარლამენტო საქმიანობის ძირითადი ღერძი, რა თქმა უნდა, იქნება რეჟიმის საჯარო მხილება. თუ როგორ ეპყრობა მიხეილ სააკაშვილს რეპრესიული ინსტიტუტების გამოყენებით რეჟიმი. თუ როგორ მოექცა რეჟიმი და ინსტიტუტები მას არაერთხელ. ვიმუშავებთ ჩვენს კოლეგებთან, ვიმუშავებთ ოპოზიციასთან, იმასთან დაკავშირებით, რომ ეს კომისია, რაც შეიძლება მალე ამოქმედდეს. ჩვენი ფრაქცია დღესვე იწყებს ხელმოწერების შეგროვებას, რომ რეალურად ფარდა ავხადოთ იმას, თუ რა მოხდა მიხეილ სააკაშვილთან მიმართებაში, როგორ მოექცა მას რეპრესიული ინსტიტუტი, პენიტენციური სისტემა და, რა თქმა უნდა, ის, რომ ეს იყო შეთანხმებული. ჩვენ ასევე ვგეგმავთ აქტიურ თანამშრომლობას საერთაშორისო პარტნიორებთან. საერთაშორისო პარტნიორებთან მუშაობისას საპარლამენტო ფორმატი არის ძალიან მნიშვნელოვანი. ეს კარგად უნდა გვესმოდეს. მე ყველა იმ ადამიანის მესმის, ვინც კრიტიკულად უყურებს პარლამენტს, მეც მათ შორის ვარ, მაგრამ არსებობს ფორმატები, რომლებიც უბრალოდ სხვაგვარად არ განიხილება. საპარლამენტო ფორმატია საერთაშორისო ასპარეზზე და გაგვიჭირდება ჩვენ ცალკე, ამ ფორმატის გამოყენების გარეშე, საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი პოზიციის დაფიქსირება.



– ისედაც მეტი წონა აქვს საპარლამენტო ტრიბუნას, ვიდრე ქუჩიდან გაკეთებულ განცხადებებს. ასე არ ფიქრობთ?

– საერთაშორისო დონეზე შესაძლებელია, მაგრამ ვფიქრობ, ორივე პროტესტის ფორმის გამოყენება არის მნიშვნელოვანი. ზოგადად პროტესტის ყველა ფორმა მისაღებია და უნდა გამოვიყენოთ ის, რაზეც ხელი მიგვიწვდება.

– საგამოძიებო კომისიას არეგისტრირებთ, რამდენად გექნებათ კოლეგების მხარდაჭერა? ოპოზიციურ პარტიებს ვგულისხმობ, ცნობილია მათი პოზიცია თქვენთვის?

– ამ ეტაპზე, თითქმის ერთიანი პოზიცია არსებობს, მე ვესაუბრე ყველას და დიდი იმედი მაქვს, რომ ეს პოზიცია გაზიარებული იქნება ჩვენი კოლეგების მხრიდან. ჩვენ უკვე გვქონდა წინასწარი კონსულტაციები.

– მიხეილ სააკაშვილის პოზიცია როგორია ამ საკითხებთან დაკავშირებით?

– ჩვენ გვქონდა მიხეილ სააკაშვილთან საუბარი, ის იზიარებს პარტიის პოზიციას, ის რომ საგამოძიებო კომისია უნდა შევქმნათ, ანტიკორუფციულ კომისიას მხარი უნდა დავუჭიროთ და ძალიან ფართოდ მოვასმენინოთ ჩვენი მოქალაქეების, ეკონომიკურ თუ სოციალურ უსაფრთხოებასა და ღირსებაზე, ჩვენი ხმა „ქართულ ოცნებას“.

– საპროტესტო აქციებს რაც შეეხება, გეგმავთ კვლავაც საპროტესტო აქციებს თუ მხოლოდ საპარლამენტო საქმიანობით შემოიფარგლებით?

– რა თქმა უნდა, მათ შორის პროტესტიც იქნება, მწვავე, ადგილობრივი, ლოკალური და დიდიც. ეს დემოკრატიის ერთ-ერთი ჩვეულებრივი ფორმაა და ჩვენ ამ ფორმას მუდმივად ვიყენეთ მთელი ამ წლების განმავლობაში. არა მხოლოდ პარლამენტსა და საკრებულოში, არამედ ქუჩაშიც მწვავე საგაზაფხულო პროტესტით ვიბრძოლებთ ჩვენი მოსახლეობის უსაფრთხოებისა და ღირსებისთვის.

– ხატია, დიდი დავაა რეზოლუციაზე, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ წარმოადგინა და რომელიც გამოხატავს მხარდაჭერას უკრაინის მიმართ. ოპოზიცია არ იზიარებს ამ დოკუმენტს და ალტერნატიულ ვარიანტზე მუშაობს. რა თამაშს თამაშობს ხელისუფლება. ცდილობს, რომ რუსეთი არ გააღიზიანოს?

– რა თქმა უნდა, მე ვფიქრობ, რომ „ქართულ ოცნებას“ ბოლომდე არა აქვს გათვითცნობიერებული, რომ ის, რაც ხდება უკრაინაში, პირდაპირ პროპორციულად ეხება საქართველოს. უფრო კეკლუცობის პოლიტიკა აქვს რუსეთთან, რაც რეალურად არაფრის მომცემი არ არის, იმიტომ, რომ რაც უფრო მეტ დათმობაზე მიდიხარ რუსეთთან და პრინციპულ პოზიციას არ აფიქსირებ, მით უფრო შეტევაზე გადმოდის. ამიტომ, მე ვფიქრობ, ძალიან სამარცხვინოა რეზოლუციის ის ტექსტი, სადაც რუსეთი არ არის მოხსენიებული აგრესორად.

– უკრაინასთან ერთად, საქართველოც საფრთხეშიაო, რა საფრთხეებზე შეიძლება იყოს საუბარი?

– აქ მთავარია, რომ დასავლეთის მხარდაჭერაში უკრაინა და საქართველო ერთობლივად უნდა იყვნენ მოხსენიებული და ერთობლივად მიდიოდნენ, იმიტომ, რომ ჩვენ საერთო მომავალი გვაქვს. ამიტომ, შესაბამისად, როდესაც ჩვენ ვცილდებით უკრაინის ინტერესებს, ეს ნიშნავს, რომ საქართველოს გეოპოლიტიკური ინტერესებიც უკანა პლანზე გადაიწევს. ამიტომ, შესაბამისად, მნიშვნელოვანი იყო ამ რეზოლუციაში რუსეთის ჩაწერა. იმიტომ, რომ ეს რეზოლუციის ტექსტი ისტორიას რჩება. თუ რეზოლუციის ტექსტში რუსეთის ფედერაცია არ ჩაემატება, მაშინ, რა თქმა უნდა, ჩვენ მხარს არ დავუჭერთ ამ ტექსტს.

შევიძენ
ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ.: 598-43-98-57

„ქართული პროდასავლური პარტიები რუსეთს ემსახურებიან“

მირიან მირიანაშვილი: „რუსეთი უკრაინაში აუცილებლად დამარცხდება“

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოს შიგნით და გარეთ მიმდინარე ზოგიერთ მოვლენაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა პოლიტიკური გაერთიანება „ერის“ თავმჯდომარეს, ყოფილ დეპუტატს, მირიან მირიანაშვილს.

– წინა ინტერვიუში განაცხადეთ, რომ საქართველოს წამყვანი პოლიტიკური სპექტრი გასუსულია და არ რეაგირებს იმაზე, რაც უკრაინის საზღვართან ხდება. ამჟამად სხვა სიტუაციაა. პარტიებმა დამოკიდებულება შეცვალეს?

– რუსეთის ხელისუფლების დავალებით საქართველოს პოლიტიკური სპექტრის უდიდესი ნაწილი ხმას არ იღებდა უკრაინაზე. ნიშანდობლივია, რომ ერთნაირად იქცეოდა „ქართული ოცნება“ და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა. პაუზაც სინქრონული ჰქონდათ და გააქტიურებაც სინქრონული გამოუვიდათ. ეს არის კიდევ ერთი მტკიცებულება იმისა, რომ პოლიტიკური სპექტრი, რომელმაც დაირქვა პროდასავლური, ერთი ცენტრიდან იმართება.

– პაუზის შემდეგ ამ ძალების გააქტიურება რამ გამოიწვია?

– ერთმა შემთხვევამ. აშშ-ის ელჩმა კელი დეგნანმა დაიბარა მმართველი პარტიის თავმჯდომარე კობახიძე და იკითხა, რატომ არ ძრავენ კრინტს უკრაინაზე. ელჩმა განაცხადა, რომ აშშ იბრძვის უკრაინისა და საქართველოს ინტერესების დასაცავად. საქართველოს დუმილი ამ სიტუაციაში უცნაურია და ასუსტებს აშშ-ის პოზიციას. კობახიძე დაელაპარაკა ბიძინა ივანიშვილს. მან, თავის მხრივ, ეტყობა, დავალებები მისცა მმართველ პარტიასაც და ოპოზიციასაც. ამის შემდეგ მათთვის უკრაინის თემა საკვანძო გახდა და პარტიები აჟრიამულდნენ.

– და უკრაინის მცველობასთან ერთად, ევროატლანტიკური კურსის დამცველები გახდნენ?

– არ ვიცი, ვის მოტყუებას ცდილობენ პარტიები, რომლებიც გაშიფრულები არიან. სინქრონულმა პაუზებმა და სინქრონულმა აჟრიამულებამ გამოიწვია დასავლელი ექსპერტების ირონიული შეფასებები. ამ მოვლენებმა გამოაჩინა ორი რამ. პირველი – ქართული პოლიტიკური ელიტის რუსეთზე დამოკიდებულების დიდი მასშტაბი და მეორე – ამ ელიტის უბადრუკობა და სისაწყლე. გამოჩნდა, ვინ მართავს იმ პოლიტიკურ სპექტრს, რომელიც პროდასავლურობას იბრალებს. იმაზე, რომ ქართული პოლიტიკური სპექტრი უნდა გაჩუმებულიყო, მოვიდა დირექტივა მოსკოვიდან.

– დეტალებსაც ხომ არ იტყვით?

– თბილისში დაირეკა ლავროვის აპარატიდან. ვისთან დაირეკა, ამის დასახელებისგან თავს შევიკავებ.

– პარტიები, მართლაც, ერთდროულად გააქტიურდნენ. ამასთან, „ქართული ოცნება“ და ნაციმოძრაობა ვერ თანხმდებიან რეზოლუციის პროექტის ტექსტზე.

– ყველა თავის ამპლუას ერთგულობს. 2012 წლიან განისაზღვრა, რომ „ქართული ოცნება“ უნდა იყოს ზომიერად პროდასავლელი, ხოლო ნაცმოძრაობა – რადიკალურად პროდასავლელი. ცხადია, ორივეს პროდასავლური იმიჯი ყალბია. ისინი იმართებიან ერთი ცენტრიდან და ემსახურებიან რუსეთს.

– ადრე აღნიშნეთ, რომ კულუარებში რუსეთმა მოითხოვა აშშ-ის ელჩის, კელი დეგნანის გაწვევა. ვაშინგტონი ამას არ დათანხმდებოდა, მაგრამ ამის შესახებ რაიმე სიახლე ხომ არ არის?

– ამაზე შემიძლია დამატებითო დეტალები მოგაწოდოთ. რუსეთში აშშ-ის ელჩ სერგივანს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე რიაბკოვმა მიაწოდა რუსეთის ხელისუფლების გზავნილი კელი დეგნანის შესახებ. კელი დეგნანი რუსებისთვის თავის ტკივილად იქცა, იმიტომ, რომ ეს ადამიანი აფერხებს რუსული გავლენის გაძლიერებას საქართველოში. რიაბკოვს ათქმევინეს, რომ ეს დიპლომატი რუსეთისთვის მიუღებელია. დაახლოებით თერთმეტი დღის წინ, ჟენევის შეხვედრის მიმდინარეობისას, ლავროვმა ბლინკენს ფრთხილად ჰკითხა, ხომ არ აპირებენ დეგნანის შეცვლას. ლავროვს უპასუხეს, რომ კელი დეგნანი შესანიშნავად უძღვება თავის საქმეს და მის შეცვლას არ აპირებენ. საქართველოში შექმნილ სიტუაციაზე მეტად საგულისხმო განცხადებები გააკეთა დასავლურ მედიასთან აშშ-ის ყოფილმა ელჩმა იან კელიმ. იან კელის თქმით, თითქმის მთელი ქართული პოლიტიკური სპექტრი ერთი ბანაკია და იბრძვის რუსეთის მხარეს. ის აღნიშნავს, რომ ეს პოლიტიკური სპექტრი ელოდებოდა და ელოდება რუსეთის სრულმასშტაბიან შემოსვლას საქართველოში.

– ამგვარი განცხადებები სიახლეა?

– ადრე ამაზე ჩემ გარდა არავინ ლაპარაკობდა. ერთადერთი, მე ვამხელდი ფსევდოდასავლურ პარტიებს. ახლა იან კელიც ამბობს, რომ საქართველოს პარტიები ერთი ბანაკია. ასე მარტო იან კელი არ ფიქრობს. მთელი ამერიკული პოლიტიკური ელიტა დარწმუნებულია, რომ ქართული პროდასავლურად წოდებული სპექტრი რუსეთს ემსახურება.

– შესაბამისი განცხადებები ნაკლებად ისმის?

– იან კელის გარდა, სერიოზულ განცხადებებს მომავალში სხვებიც გააკეთებენ. დასკვნები ქართულ პოლიტიკურ სპექტრზე (მის უმრავლესობაზე) საფუძვლად დაედება აშშ-ის ახალ კურსს. ასე რომ, ცრუ მედასავლეთე პარტიები ამისთვის უნდა მოემზადონ. რაც დათესეს, იმას მოიმკიან.

– უკრაინის საკითხს შევეხოთ. უკრაინის პრეზიდენტი უკმაყოფილოა იმით, რომ ანონსდება რუსეთის შეჭრა უკრაინაში. მისი აზრით, ეს ზიანს აყენებს ქვეყანას.

– პრეზიდენტი ზელენსკი ისეთი ინფორმირებული არ არის, როგორც აშშ. ის არ ფლობს ინფორმაციას, რომელიც მოპოვებული აქვთ აშშ-ის სპეცსამსახურებს. მისი განცხადება ამით აიხსნება. შეიჭრება თუ არა უკრაინაში რუსეთი, ის მაინც დამარცხებულია. რუსეთს მოუვა იგივე, რაც მოუვიდა საბჭოთა კავშირს ავღანეთში შეჭრის შემდეგ.

– რუსული პროპაგანდა ავღანეთში ბოლო დროს დამარცხებულად აშშ-ს მიიჩნევს.

– აშშ-მ ავღანეთიდან გამოსვლით შეასრულა რამდენიმე ამოცანა. ერთ-ერთი ამოცანა იყო პაკისტანთან თანამშრომლობა და მისი მოწყვეტა ჩინეთის ორბიტიდან. ვაშინგტონს წარმატებული კომუნიკაცია აქვს თალიბანთან. ამერიკა ავღანეთს ისევ ხელგაშლილად ეხმარება. ასე რომ, არანაირი მარცხი იქ არ ყოფილა. შორს არ არის ის დრო, როცა რუსეთის პოლიტიკური გავლენა დაინგრევა საქართველოში. ამ კუთხით მიმდინარე წელი ეპოქალური იქნება. აზერბაიჯანი გამოსულია რუსეთის გავლენიდან. იგივე მოხდება საქართველოში. სომხეთ-თურქეთის თანამშრომლობის აღდგენის შემდეგ საქართველოა ის ქვეყანა, სადაც რჩება ფარული რუსული გავლენები. მალე საქართველოც გათავისუფლდება და რუსეთი დაკარგავს პოზიციებს მთელ სამხრეთ კავკასიაში. ქართულმა პოლიტიკურმა სპექტრმა ეს უნდა გაიგოს. ვისაც სურს, რუსეთს ჩაჰყვეს პოლიტიკურ სამარეში, მისი ნებაა. შეიჭრება თუ არა კრემლი უკრაინაში, სულ ერთია, რუსეთი წაგებულია. მალე შეიძლება საკუთარ ქვეყანაში შეელახოს ტერიტორიული მთლიანობა.

ლევან დავითაშვილი: „პანდემიამდელ მაჩვენებელს ეკონომიკა 3.1%-ით უსწრებს“

„2021 წლის ეკონომიკის ზრდის მონაცემები, წინასწარი შეფასებით, 10.6%-ია“ – განაცხადა ვიცე-პრემიერმა, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა მთავრობის სხდომის შემდეგ.

– პანდემიამდელ მაჩვენებელს ეკონომიკა 3.1%-ით უსწრებს. შესაბამისად, ის დანაკარგი, რომელიც 2020 წელს მივიღეთ ეკონომიკის შემცირებით, ფაქტობრივად, სრულად არის აღდგენილი. ჩვენი პროგნოზი, რომ 2021 წელს ორნიშნა ეკონომიკური ზრდა გვექნებოდა სრულად გამართლდა. ჩვენი პროგნოზი ბევრად უფრო ზუსტი იყო, ვიდრე ჩვენი პარტნიორი საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების, რომლებიც უფრო კონსერვატორულ მაჩვენებლებს ვარაუდობდნენ. დღეს მონაცემები დაზუსტდა – ჩვენ, გასულ წელს, გვქონდა არა მარტო საქართველოში, არამედ ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ეკონომიკური ზრდა და, შესაბამისად, ეკონომიკის აღდგენა“ – აღნიშნა ლევან დავითაშვილმა.

2021 წელს საქართველოში ორნიშნა ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა და 10.6 პროცენტი შეადგინა. ეკონომიკის სწრაფი ტემპებით აღდგენა დეკემბერშიც დაფიქსირდა და წინასწარი შეფასებით, 2021 წლის დეკემბერში, წინა წელთან შედარებით, ეკონომიკის რეალურმა ზრდამ 9.6 პროცენტი შეადგინა.

2021 წლის ეკონომიკური აქტივობის დონე (3.1 პროცენტით) აღემატება 2019 წლის მაჩვენებელს. ეკონომიკის სწრაფი ტემპებით გაჯანსაღებას მნიშვნელოვნად შეუწყო მთავრობის თანმიმდევრულმა და დაბალანსებულმა ეკონომიკური პოლიტიკამ და კერძო სექტორის მხარდამჭერმა პროგრამებმა.

დეკემბერში დღგ-ის გადამხდელ საწარმოთა ბრუნვა წინა წლის შესაბამისი თვის მაჩვენებელთან შედარებით 31.2%-ით გაიზარდა, ხოლო ახლად რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა 4,553 ერთეულს გაუტოლდა, რაც 21 პროცენტით აღემატება 2020 წლის დეკემბრის თვის მონაცემს.

2021 წლის დეკემბერში რეალური ზრდა დაფიქსირდა ეკონომიკის უმრავლეს სექტორებში (მშენებლობის, სოფლის მეურნეობის და განათლების სექტორების გარდა).

2021 წლის დეკემბერში ეკონომიკურ ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა: დამამუშავებელი მრეწველობის; ტრანსპორტის და დასაწყობების; ვაჭრობის; განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობების; ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდების საქმიანობების; ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების; უძრავ ქონებასთან დაკავშირებული მომსახურების; ტურისტული სექტორის და ადგილობრივი ექსპორტის (ექსპორტი რე-ექსპორტის გამორიცხვით) რეკორდული მოცულობა დაფიქსირდა და აღნიშნულმა მაჩვენებლებმა ასევე მნიშვნელოვნად გადააჭარბა 2019 წლის – პანდემიამდე პერიოდის მოცულობას. 2021 წელს ექსპორტი გაიზარდა 26.9 პროცენტით და 4,242.3 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა, ხოლო ადგილობრივი ექსპორტი 29.9 პროცენტით გაიზარდა და 3,127 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

მნიშვნელოვანი გაჯანსაღების ტენდენციები დაფიქსირდა ტურიზმის სექტორშიც, კერძოდ, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების აღდგენის დონე დეკემბერში (პანდემიამდე 2019 წლის დეკემბერში დაფიქსირებული საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების) 58 პროცენტი იყო. აღსანიშნავია, რომ 2021 წლის ივლისიდან მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლების აღდგენის დონე 52 პროცენტს შეადგენს.

2021 წლის დეკემბერში და წლიურად ფულადი გზავნილების მიმართულებით პოზიტიური ტენდენციები დაფიქსირდა. დეკემბერში ფულადი გზავნილების მოცულობა 14.9 პროცენტით, ხოლო 2021 წელს 24.6 პროცენტით გაიზარდა და 2.3 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა.

ვახტანგ ჭარაია: „ორნიშნა ეკონომიკური ზრდა 2021 წელს რეალური მოვლენა გახლდათ, არადა, დაუჯერებლად ჩანდა“

– აღსანიშნავია, რომ სწორედ ორნიშნა ეკონომიკური ზრდაა ის მოვლენა, რომელმაც შეძლო მნიშვნელოვნად გაზრდილი ინფლაციის გამოწვევის დაბალანსება, რომელიც თავის მხრივ გლობალური თავსატკივარი გახლდათ, მათ შორის, ყველაზე განვითარებულ ქვეყნებშიც კი, – ასე გამოეხმაურა თსუ ეკონომიკის ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის ხელმძღვანელი ვახტანგ ჭარაია 2021 წლის დეკემბრის და 2021 წლის ეკონომიკური ზრდის წინასწარ შეფასებებს.

ვახტანგ ჭარაია

ვახტანგ ჭარაიას განცხადებით, ხაზგასასმელია ის, რომ 2021 კორონომიკური წლის მიუხედავად, ეკონომიკამ უკვე გადაუსწრო პანდემიამდელ 2019 წელსაც. კონკრეტულად 2021 წლის დეკემბერში კი რეალური ზრდა დაფიქსირდა ეკონომიკის უმრავლეს სექტორებში, მათ შორის, დამამუშავებელი მრეწველობის; ტრანსპორტის და დასაწყობების; ვაჭრობის; განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობების; ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების; უძრავ ქონებასთან დაკავშირებული მომსახურების და სხვა დარგებში.

* * *

ეკონომიკურ ექსპერტ სოსო არჩვაძის განცხადებით: საქართველოს ეკონომიკაში 2021 წელს დაფიქსირდა ორნიშნა ეკონომიკური ზრდა (+10.6%), რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია ბოლო 14 წლის მანძილზე. ამასთან, წინა წელთან მატების 2021 წლის აბსოლუტური მაჩვენებელი აშშ დოლარებში თითქმის 2-ჯერ აღემატება 2007 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. ეკონომიკური ზრდა მიღწეულია ეროვნული მეურნეობის დარგებში, სადაც იქმნება დამატებული ღირებულების 4/5-ზე მეტი (მშენებლობის, სოფლის მეურნეობისა და განათლების სექტორების გარდა). ეკონომიკური ზრდის 9/10-ზე მეტი უზრუნველყო ზრდის ინტენსიურმა ფაქტორმა – დასაქმებულთა შრომის მწარმოებლურობის ამაღლებამ. აღნიშნული პროგრესი მიღწეულია ხელისუფლების თანმიმდევრული და რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის, კერძო ბიზნესის მხარდაჭერისა და მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის განხორციელებული კომპლექსური პროგრამების რეალიზაციის ხარჯზე.

პოზიტიური ტენდენციები შეინიშნება მომსახურების ექსპორტის ხაზითაც, სადაც დაკარგულ პოზიციებს თანდათან იბრუნებს ტურისტული სექტორი. – აქ დეკემბრის მდგომარეობით შემოსავლებმა პანდემიამდელი 2019 წლის დეკემბრის დონის 58 პროცენტს მიაღწია.

ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვან რესურსს და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების ფაქტორს წარმოადგენს საზღვარგარეთიდან საქართველოში შრომითი მიგრანტების მიერ განხორციელებული ფულადი გზავნილები, რომლებმაც 2021 წლის ივნისიდან ყოველთვიურად 200 მილიონ აშშ დოლარს გადააჭარბა, ხოლო მთლიანად 2021 წელს – 2349.6 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია (24.6%-ით მეტი წინა წელთან შედარებით). ამასთან, იტალიაზე, საბერძნეთსა და აშშ-ზე მოდის წმინდა ფულადი ტრანზაქციების 43.6 პროცენტი (2012 წ. – 26.2%).

მოტანილი მონაცემები ერთმნიშვნელოვნად ადასტურებენ ეკონომიკაში დინამიზმის პოზიტიურ ტრენდს, რომელიც ქმნის ობიექტურ და მყარ საფუძველს 2022 და მომდევნო წლებში ქვეყნის ეკონომიკის ზრდის, საგარეო ვაჭრობის ხაზით ქართული პროდუქციის პოზიციების კიდევ უფრო გამყარების და კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესების, მთლიანობაში – მდგრადი განვითარებისა და საზოგადოების წინაშე მდგარი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების უფრო ოპერატიულად და წარმატებით გადასაჭრელად.

ომბუდსმენი მოუწოდებს შსს-ს და შრომის ინსპექციას, განხორციელდეს დროული და ეფექტიანი რეაგირება შახტში მომხდარ აფეთქებაზე

საქართველოს სახალხო დამცველი 30 იანვარს მინდელის შახტში მომხდარ აფეთქების გამო, რომელის დროსაც 9 ადამიანი დაშავდა, მათგან ერთი კი საავადმყოფოში გარდაიცვალა, მწუხარებას გამოთქვამს და ოჯახის წევრებს სამძიმარს უცხადებს.

ამასთან, სახალხო დამცველი მოუწოდებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და შრომის ინსპექციას, განხორციელდეს დროული და ეფექტიანი რეაგირება მომხდარზე:

– 2022 წლის 30 იანვარს, ღამით მინდელის შახტში მომხდარი აფეთქების შედეგად 9 ადამიანი დაშავდა. მათგან ერთი საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა. სახალხო დამცველი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს მომხდარის გამო, უსამძიმრებს დაღუპულის ოჯახს და დაშავებულებს მალე გამოჯანმრთელებას უსურვებს.

როგორც გავრცელებული ინფორმაციით დგინდება, შინაგან საქმეთა სამინისტრომ სისხლის სამართლის საქმე აღძრა სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევის მუხლით. ასევე, მოკვლევა დაიწყო შრომის ინსპექციამაც.

სამწუხაროდ, გუშინდელი ფაქტი ტყიბულის შახტებში დასაქმებულთა დაშავების და გარდაცვალების პირველი შემთხვევა არ არის. წინა წლებშიც არაერთი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა იქ მომხდარ უბედურ შემთხვევებს.

სახალხო დამცველი მოუწოდებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და შრომის ინსპექციას, განხორციელდეს დროული და ეფექტიანი რეაგირება მომხდარზე, მათ შორის დადგინდეს ტრაგედიის მიზეზები, რათა მომავალში მსგავსი შემთხვევების თავიდან არიდება შევძლოთ. ასევე მიმართავს შრომის ინსპექციას – მიმდინარე ინსპექტირების ფარგლებში მოხდეს ყველა დარღვევის და რისკის იდენტიფიცირება და მათი გამოსწორების მიზნით ყველა კანონმდებლობით მინიჭებული ბერკეტის გამოყენება.

ამასთან, სახალხო დამცველი მნიშვნელოვნად მიიჩნევს, ტყიბულსა და სხვა მომეტებული საფრთხის შემცველ ობიექტებში სისტემატური ინსპექტირება ჩატარდეს არსებული დარღვევების დროული იდენტიფიცირებისა და გამოსწორების მიზნით – აღნიშნულია სახალხო დამცველის განცხადებაში.

ქუთაისში ფარმაცევტებს იარაღის მუქარით თანხა გასტაცეს

ქუთაისში მომხდარი ყაჩაღობის ფაქტზე პოლიციამ 32 წლის მამაკაცი დააკავა. როგორც შსს-ს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, დაკავებულმა ერთ-ერთ აფთიაქში იარაღის მუქარით ფარმაცევტებს 300 ლარამდე თანხა გასტაცა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა:

– შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ქუთაისის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1989 წელს დაბადებული გ.თ. ქუთაისში დააკავეს. მას ბრალად ყაჩაღობა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარება ედება. დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 30 იანვარს, ქუთაისში, გამსახურდიას ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ აფთიაქში პისტოლეტის მუქარით ფარმაცევტებს დაახლოებით 300 ლარის ოდენობის თანხა გასტაცა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. სამართალდამცველებმა თავდამსხმელი მომხდარიდან რამდენიმე საათში, ცხელ კვალზე დააკავეს. პოლიციამ დაკავებულის პირადი ჩხრეკისას დანაშაულის ჩადენის იარაღი და ყაჩაღური გზით დაუფლებული თანხა ნივთმტკიცების სახით ამოიღო. ყაჩაღობისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარების ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის 1-ელი ნაწილით და 236-ე მუხლის მე-4 ნაწილით მიმდინარეობს, – ნათქვამია ინფორმაციაში.

გორში საკუთარი შვილის განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით პოლიციამ 82 წლის მამაკაცი დააკავა

გორში მომხდარი უმძიმესი დანაშაულის ფაქტზე პოლიციამ 82 წლის მამაკაცი დააკავა. როგორც შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, დაკავებულმა საკუთარ შვილს ცივი იარაღით მრავლობითი ჭრილობა მიაყენა:

– შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1940 წელს დაბადებული კ.მ. ოჯახის წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 13-დან 17 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მამაკაცმა გორში, საკუთარ საცხოვრებელ სახლში, შვილს – 1975 წელს დაბადებულ გ.მ.-ს, ურთიერთშელაპარაკებისას, ცივი იარაღის გამოყენებით სხეულზე მრავლობითი ჭრილობა მიაყენა. დაჭრილი მამაკაცი სამედიცინო დაწესებულებაშია მოთავსებული.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

ოჯახის წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 11 პრიმა 19 -109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, – ნათქვამია განცხადებაში.

ქუთაისში 5 მანქანა არასრულწლოვნებმა გაქურდეს

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ფოთში სატვირთო ავტომობილების გაქურდვის ფაქტებზე 3 პირი დააკავა, ქუთაისში კი, ავტომანქანების გაქურდვის ფაქტზე 3 არასრულწლოვანი ამხილა.

უწყების ცნობით, სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქურდობის ბრალდებით, 3 პირი: 2000 წელს დაბადებული ზ.ჩ., 2000 წელს დაბადებული დ.ჭ. და 2001 წელს დაბადებული დ.ღ. ფოთში დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა მიმდინარე წლის 31 იანვარს, ფოთში, სხვადასხვა ქუჩაზე გაჩერებული ავტომობილები გაქურდეს და მიიმალნენ. სამართალდამცველებმა სამივე მათგანი ცხელ კვალზე დააკავეს.

რაც შეეხება მხილებულ პირებს, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ქუთაისის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქურდობის ფაქტზე 3 არასრულწლოვანი – 2007 წელს დაბადებული გ.მ., 2007 წელს დაბადებული ლ.მ. და 2008 წელს დაბადებული ს.მ. ამხილეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ არასრულწლოვნებმა მიმდინარე წლის 29 იანვარს, ქუთაისში, ხარებავას ქუჩაზე, 5 ავტომანქანა გაქურდეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

სამართალდამცველებმა სამივე არასრულწლოვანი მომხდარი ფაქტიდან მეორე დღეს ამხილეს. პოლიციამ მოპარული ნივთების ნაწილი ნივთმტკიცების სახით ამოიღო. მხილებული არასრულწლოვნები დანაშაულს აღიარებენ.

ფოთში მომხდარ ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს, რაც წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ ჩადენილ ქურდობას გულისხმობს, ხოლო ქუთაისში მომხდარ ფაქტებზე გამოძიება გრძელდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, რაც სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ ჩადენილ ქურდობას გულისხმობს, – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

დანაშაულები 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ქურდობა გორში — ემიგრაციიდან დაბრუნებულ ქალს სახლი გაქურდული დახვდა

ქურდობა გორში, წმინდა წყლის დასახლებაში – ემიგრაციიდან დაბრუნებულ ქალს სახლი გაქურდული დახვდა.

დაზარალებულის, ირმა ფარნაევის თქმით, წაღებულია სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთები, ზარალი 4 000 ლარს აღწევს.

მან ქურდობის შესახებ პოლიციას აცნობა და ფაქტზე გამოძიება დაიწყო. თუმცა, ჯერჯერობით სამართალდამცველები დამნაშავის კვალზე ვერ გავიდნენ.

ოზურგეთში ახალგაზრდა ბიჭს მანქანის შეკეთებისას ნაწილი დაეცა და ადგილზე დაიღუპა

ტრაგედია ოზურგეთში – 36 წლის დიმა ბუცხრიკიძე სატვირთო ავტომანქანის შეკეთების დროს დაიღუპა. ინფორმაციას „გურია ნიუსი“ ავრცელებს.

– ურეკში, ერთ-ერთ უცხოურ კომპანიაში მუშაობდა. სატვირთო ავტომანქანის მძღოლი იყო. რაღაც დაზიანებულა, შესულა ავტომანქანის ქვეშ, გასაკეთებლად. ამ დროს კი ნაწილი ჩამოვარდნილა და თავში დასცემია. იქვე გარდაცვლილა. მთელი სოფელი დაზაფრულია. არაჩვეულებრივი ახალგაზრდა კაცი დავკარგეთ. 36 წლის დიმა ბუცხრიკიძეს სამი მცირეწლოვანი შვილი დარჩა. იმ დღეს ერთ-ერთი ბავშვის დაბადების დღე იყო. საუკეთესო ოჯახია, თუკი რამ კარგი შეიძლება, ამ ოჯახზე უნდა ითქვას, – ამბობს გარდაცვლილის ახლობელი.

„მე თურქების მეშინოდა და ისევ ქართველმა გაწირა“

თურქეთში, სტამბოლის გარეუბანში რამდენიმე დღის წინ მოკლული ქართველი, 32 წლის გიორგი სიხარულიძე, სოფელ ნაბეღლავში დაკრძალეს. რა გახდა მკვლელობის მიზეზი, უცნობია.

გარდაცვლილის ნახევარდა „პრაიმტიმთან“ მკვლელობის დეტალების შესახებ საუბრობს.

– ურთიერთშელაპარაკება მეგობრის ბინაში მოხდა. გიორგი, ეკა მამფორია, მაია ბარათაშვილი და ხვიჩა წიფურია მეუღლესთან ერთად იყვნენ ბინაში, რა დროსაც მოვიდა ზვიადი ბულია. ბულიას ხვიჩა წიფურიას მოკვლა უნდოდა, მიზეზი ჩვენთვის უცნობია. ხვიჩამ მოასწრო გაქცევა და ხმაურზე გიორგი გამოვიდა, რომ ნახა, დარბის დანით ბულია, გაქცევა სცადა, ისეთი მშიშარა იყო.

ბულიამ იფიქრა, ხვიჩა გარბისო და უკნიდან დაარტყა დანა გიორგის. მან ფეხი გადადგა, მაინც სცადა გასვლა, მაგრამ წაიქცა. იმ მაია ბარათაშვილმა, რომ ნახა, უკან შეირბინა, სველი ტილოები ადეს გიორგის და ერთი არ დარეკეს სასწრაფოში.

ჩემი ძმის გერი დისშვილი ცხოვრობს თურქეთში, ახლო ქალაქში ირაკლი და იმას დაურეკეს ექვსის ნახევარზე და ეს მოხდა პირველ საათზე, ჩემი ძმა სისხლისგან დაიცალა ამასობაში. ამ ხმაურზე გამოსულან ვიღაც თურქები და იმათ დარეკეს სასწრაფოში. ყველაფერი გარკვეულია, ყველა წერილი ხმოვანი აქვს ირაკლის და არც დატოვებს იმათ გარეთ, – ამბობს „პრაიმტაიმთან“ გიორგი სიხარულიძის ნახევარდა ნათია ლემონჯავა.

– მე რუსეთში ვცხოვრობ, 2016 წლამდე არ მქონდა მოქალაქეობა და, სამწუხაროდ, მანამდე მოწვევას ვერ გავუკეთებდი ჩემს ძმას, სულ მეშინოდა, რომ თურქეთში იყო... უფრო თურქების მეშინოდა, მაგრამ ქართველების ხელიდან დაიღუპა. მოქალაქეობა რომ ავიღე, სულ ვეუბნებოდი, დაბრუნდი საქართველოში და აქეთ წამოგიყვან. სულ მეშინოდა... მე თურქების მეშინოდა და ისევ ქართველმა გაწირა. მეწვის გული, ასე უყურადღებოდ რომ დაგვიღუპეს ბავშვი. მე გიორგის მამამ გამზარდა, დედა თბილისშია ქირით, როგორ გამწარდა დედა, ახალგაზრდა შვილი მოუკლეს და სხვის გამო, ის ხვიჩა წიფურიაც არ გამოდის კონტაქტზე, რომ გვითხრას, რა მოხდა და ასე დაგვეღუპა გიორგი, – აღნიშნავს სიხარულიძის და. 32 წლის გიორგი სიხარულიძის მკვლელი, 45 წლის ზვიად ბულია დაკავებულია. ინფორმაცია „პრაიმტაიმს“ მისმა ოჯახმა დაუდასტურა. იგი ზუგდიდის სოფელ ოდიშის მცხოვრებია და თურქეთში ცხრა წელია იმყოფება.

დავით ზილფიმიანი: „თუ არ ჩატარდება გამოძიება, მსგავსი ტრაგედიები კიდევ განმეორდება“

დეპუტატი დავით ზილფიმიანი ტყიბულში მინდელის შახტში მომხდარ ტრაგედიას ეხმაურება და სოციალურ ქსელში განცხადებას ავრცელებს.

– მწუხარებას გამოვთქვამ ტყიბულის შახტში მომხდარი ტრაგედიის გამო, რომელსაც ერთი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, ხოლო რამდენიმე მძიმედ დაშავდა. თითქმის ორი ათეული წელია გვესმის ინფორმაცია ტყიბულის შახტში მომხდარი აფეთქებების შესახებ, რომელსაც ათეულობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, ხოლო უფრო მეტი დასახიჩრდა. მუდმივად გვესმის, რომ მინდელის შახტში მომხდარ აფეთქებაზე იწყება გამოძიება, თუმცა, როგორ სრულდება ეს გამოძიება, უმჯობესდება თუ არა უსაფრთხოების ნორმები იმისთვის, რომ არ დაგროვდეს მეთანი და არ მოხდეს აფეთქება, ამის თაობაზე ვერაფერს ვეღარ ვიგებთ. ამაზე პრიორიტეტული საკითხი დღესდღეობით არ დგას, ამიტომ მნიშვნელოვანია დაიწყოს გამოძიება და გაირკვეს, რა ხდება ბოლო წლების მანძილზე ტყიბულის შახტში. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ჩვენ სახეზე გვაქვს ასეულობით დასახიჩრებული და ათეულობით გარდაცვლილი მეშახტე, თუ არ ჩატარდება გამოძიება და არ მივიღებთ სათანადო ზომებს, მსგავსი ტრაგედიები კიდევ განმეორდება, – ამბობს დავით ზილფიმიანი.

ცნობისთვის, არსებული ინფორმაციით, ტყიბულის შახტში აფეთქება 30 იანვარს მოხდა. დაღუპულია ერთი ადამიანი, დაშავდა 8.

შსს-მ ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლით დაიწყო, რაც სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევას გულისხმობს.

ალუდა ღუდუშაური: „არ შეიძლება ბოროტად გამოიყენონ უფლება, რასაც შეწყალება ჰქვია“

– არ შეიძლება ბოროტად იქნეს გამოყენებული უფლება, რასაც შეწყალება ჰქვია. რეჟიმის მთავარ შემოქმედს საკაშვილი ჰქვია, – განაცხადა ალუდა ღუდუშაურმა, ვახო ხუზმიაშვილის გადაცემაში „თავისუფალი სივრცე“.

– უპირველეს ყოვლისა, საზოგადოების გადასაწყვეტია ყველაფერი, ხალხს ეკუთვნის ძალაუფლება. ამ ხალხის წინაშე არც გამოსულა და ბოდიშიც არ მოუხდია. საკაშვილის გამოსვლა ყველას გვახსოვს, როდესაც სანდრო გირგვლიანის თემაზე საუბრობდა, მან უწოდა, რომ ეს არის მხიარული თემაო, – განაცხადა ალუდა ღუდუშაურმა.

გერმანიაში შეიარაღებულმა პირებმა ორი პოლიციელი მოკლეს

დასავლეთ გერმანიაში, კუზელის რაიონში, სატრანსპორტო საშუალების დადგენილი წესით შემოწმებისას შეიარაღებულმა პირებმა პოლიციას ცეცხლი გაუხსნეს, – ინფორმაციას „დოიჩე ველე“ ავრცელებს.

გამოცემის ცნობით, თავდასხმის შედეგად ორი პოლიციელი დაიღუპა.

„პოლიცია გაქცეულ დამნაშავეებს ინტენსიურად ეძებს. მინიმუმ ერთი მათგანი შეიარაღებულია“ – აცხადებენ ადგილობრივ პოლიციაში.

კუზელი საფრანგეთისა და ლუქსემბურგის საზღვართან ახლოს მდებარეობს.

კანადას უკრაინიდან საელჩოს თანამშრომლების ნაწილი გაჰყავს

კანადა უკრაინის საელჩოდან თანამშრომლების ნაწილს დროებით გაიყვანს, – მედიის ინფორმაციით, ამის შესახებ კანადის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა.

– ვაგრძელებთ სიტუაციის ყურადღებით დაკვირვებას, ჩვენს უმთავრეს პრიორიტეტად კანადელების უსაფრთხოება და დაცულობა რჩება. ჩვენი ოფიციალური პირები მზად არიან უზრუნველყონ კანადის მოქალაქეებისთვის საჭირო საკონსულო დახმარების გაწევა, – ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

უწყების განმარტებით, კანადის საელჩო კიევში ღია რჩება.

ბრაზილიაში ძლიერ წვიმას 18 ადამიანი ემსხვერპლა

ბრაზილიის სან-პაულოს შტატში კოკისპირული წვიმების შედეგად სულ მცირე 18 ადამიანი დაიღუპა, – ინფორმაციას „დოიჩე ველე“ ადგილობრივ ხელისუფლებაზე დაყრდნობით ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, დაშავდა სულ მცირე ცხრა ადამიანი და დაახლოებით 500 ოჯახს საცხოვრებელი ადგილის მიტოვება მოუწია.

სან პაულოს გუბერნატორმა ჟოაო დორიამ განაცხადა, რომ შტატის ყველაზე მეტად დაზარალებული 10 ქალაქისა და შტატის დაზარალებული ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების დასახმარებლად 15 მილიონ რეელს (2.7 მილიონი აშშ დოლარი) გამოყოფენ.

ძლიერი წვიმის გაგრძელებას სამშაბათამდე პროგნოზირებენ და მოსახლეობას სიფრთხილის გამოჩენისკენ მოუწოდებენ.

ბაიდენი აღმოსავლეთ ევროპაში ჯარს კიდევ გაგზავნის



აშშ-ის პრეზიდენტი ბაიდენი პიტსბურგში ჩავიდა. ის თავის ამომრჩევლებს შეხვდა. ბაიდენმა განაცხადა, რომ უკრაინის გარშემო დაძაბულობა იზრდება და ამიტომ აღმოსავლეთ ევროპაში კვლავ გაგზავნის ჯარს.

– ჯარი აღმოსავლეთ ევროპის იმ ქვეყნებში განთავსდება, რომლებიც უკრაინას ესაზღვრებიან და ნატოს წევრები არიან, – თქვა ბაიდენმა.

ბრიტანეთი რუსეთს სანქციების დაწესების შესახებ აფრთხილებს

ბრიტანეთი რუსეთს, უკრაინაში შეჭრის შემთხვევაში, კრემლთან დაახლოებული პირებისა და კომპანიების წინააღმდეგ სანქციების დაწესების შესახებ აფრთხილებს.

ბრიტანეთი მოუწოდებს ვლადიმერ პუტინს, დატოვოს უკრაინის საზღვარი, წინააღმდეგ შემთხვევაში კი აფრთხილებს, რომ ნებისმიერი სახის შეჭრა ქვეყანაში გამოიწვევს კრემლთან დაახლოებული პირებისა და კომპანიების წინააღმდეგ სანქციებს. ინფორმაციას როიტერსი ავრცელებს.

აღნიშნულს გამოეხმაურა კრემლის პრესსპიკერი დიმიტრი პესკოვი. მისი თქმით, ასეთი ზომების მიღება რუსულ ბიზნესებზე თავდასხმის ტოლფასია. პესკოვმა ბრიტანეთის გაფრთხილებას „ძალიან შემაწუხებელი“ უწოდა და აღნიშნა, რომ მსგავსი განცხადებები ძირს უთხრის ბრიტანეთის საინვესტიციო მიმზიდველობას და ბრიტანულ კომპანიებს დააზარალებს.

– ბიზნესზე თავდასხმის ასეთ პირდაპირ მუქარას ხშირად ვერც ხედავთ და არც გესმით. ამა თუ იმ ქვეყნის მიერ რუსულ ბიზნესზე თავდასხმა გულისხმობს საპასუხო ზომებს და საჭიროების შემთხვევაში ეს ზომები ჩვენი ინტერესებიდან გამომდინარე იქნება ჩამოყალიბებული, – განაცხადა პესკოვმა.

გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრ ბორის ჯონსონსა და ვლადიმერ პუტინს შორის სატელეფონო საუბარი გაიმართება.

დმიტრი გუდკოვი: „თბილისში კიევიდან ჩამოვფრინდი, სახელმწიფომ მიიღო გადაწყვეტილება, არ შემომიშვას ქვეყანაში“

რუსი ოპოზიციონერი პოლიტიკოსი დმიტრი გუდკოვი აცხადებს, რომ კიევიდან თბილისში ჩამოფრინდა, მაგრამ არ შემოუშვეს.

– თბილისში კიევიდან ჩამოვფრინდი აქტივისტებთან შესახვედრად. მაქვს მოწვევა. საზღვარზე მითხრეს, რომ უკან, კიევში გამადეპორტებენ. სახელმწიფომ მიიღო გადაწყვეტილება, არ შემომიშვას ქვეყანაში, იმის მიუხედავად, რომ ბევრი შეხვედრა მქონდა დაგეგმილი, – აცხადებს პოლიტიკოსი მიმართვაში, რომელიც „ფეისბუქზე“ გაავრცელა.

გუდკოვის თქმით, გადახდილი ჰქონდა როგორც სასტუმროს, ისე უკან გასამგზავრებელი ბილეთის საფასური.

– ეს არ არის პირველი შემთხვევა. როგორც ვიცი, არცთუ დიდი ხნის წინ აქედან ლიუბოვ სობოლიც გაადეპორტეს, არ შემოუშვეს. მეგობრებო, უცნაური რაღაცები ხდება საქართველოში, – განაცხადა გუდკოვმა. ამასთან, პოლიტიკოსი სოციალურ ქსელში წერს, რომ მისი დეპორტაციის გადაწყვეტილება სახელმწიფოს დონეზე მიიღეს.

– სახელმწიფო დონეზე მიიღეს გადაწყვეტილება ჩემი კიევში დეპორტაციის შესახებ. გადაწყვეტილება პოლიტიკურია. ჩემი ვიზიტის შესახებ ყველა გააფრთხილეს, ოფიციალური მოწვევით ჩამოვედი. დაგეგმილი იყო შეხვედრები აქტივისტებთან და დიპლომატებთან. ახსნა-განმარტებები არ არის, მხოლოდ მესაზღვრეების თანაგრძნობის გამომხატველი ჟესტები. ყველას ესმის, მაგრამ... – წერს დმიტრი გუდკოვი.

აშშ-მ შესაძლოა რუსეთის წინააღმდეგ პრევენციული სანქციები შემოიღოს

ამერიკელმა სენატორმა მენენდესმა (დემოკრატიული პარტია) განაცხადა, რომ შესაძლოა აშშ-მ რუსეთს სანქციები დაუწესოს უფრო ადრე, ვიდრე კრემლი უკრაინაში შეიჭრება.

– სანქციების მომზადება უკვე ფინალურ სტადიაშია, – ამბობს მენენდესი.

კალეიდოსკოპი

ქალმა ფაშისტების მიერ მოპარული ნახატი დაიბრუნა

ნიუ-იორკში სოტბის აუქციონზე გასაყიდად იქნა გამოტანილი „ქალბატონის პორტრეტი პომონის სახით“, რომელიც XVII-XVIII საუკუნეების ფრანგ მხატვარს ნიკოლია დე ლარჟილიერს ფუნჯს ეკუთვნის და ვარაუდობენ, რომ ის 1-დან 1,5 მილიონ დოლარამდე ფასად გაიყიდება.

მე-20 საუკუნის დასაწყისამდე ნახატს ფრანგი კოლექციონერი ჟიულ შტრაუსი ფლობდა. ოჯახური ლეგენდის თანახმად, 1930 წელს ის გაკოტრდა, საკუთარი ქონება გაყიდა და 1943 წელს გარდაიცვალა ისე, რომ საკუთარი შთამომავლობა მემკვიდრეობის გარეშე დატოვა. მისმა შვილთაშვილმა პოლინ ბერ დე პერინიონმა იეჭვა, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს ნახატი ფაშისტური გერმანიის ხელისუფლებამ მიისაკუთრა. მალე მისი ეჭვი დადასტურდა.

რამდენიმე წლის წინ მან მოახერხა არქივებში ეპოვა თავისი დიდი ბებიის მიმართვა, განკუთვნილი 1945 წელს ნაძარცვი ხელოვნების ნაწარმოების ფრანგული კომისიისთვის. შემდეგ ქალმა არქივში ასევე მიაგნო დიდი ბებიის და გერმანიის ხელისუფლების მიმოწერას, რომელიც ფაშისტების მიერ მოპარული კოლექციის დაბრუნებას შეეხებოდა. პოლინ ბერ დე პერინიონმა ბრძოლა განაგრძო და 2021 წლის იანვარში მიაღწია იმას, რომ ზემოთ ხსენებული ნახატი დაებრუნებინა.

ქალმა გადაწყვიტა, რომ ნახატს ვერ დაიტოვებდა და ვალდებული იყო ის ჟიულ შტრაუსის სხვა მემკვიდრეებისთვისაც გაენაწილებინა. ასე რომ, ნახატის აუქციონზე გაყიდვის შემდეგ ყოველი მათგანი შემოსული თანხიდან წილს მიიღებს.

მამაკაცს ტუალეტში შესვლამ მოგება მოუტანა

ამერიკის სამხრეთ კაროლინის შტატის ქალაქ პენდლტონის მკვიდრს ტუალეტში შესვლამ სიმდიდრე მოუტანა.

მამაკაცი ავტოგასამართ სადგურზე გაჩერდა, რადგან მოულოდნელად ტუალეტში შესვლა დასჭირდა.

– როგორც წესი, მაღაზიებთან ვჩერდები ქუჩის მეორე მხარეს, მაგრამ ამჯერად ავტოსადგომები გადატვირთული აღმოჩნდა, – განმარტა ამერიკელმა.

ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილების შემდეგ მამაკაცმა გადაწყვიტა, სასმელი და რამდენიმე მომენტალური ლატარიის ბილეთი შეეძინა. მან ბილეთებზე დამცავი ფენა მეუღლესთან ერთად გადაფხიკა და 20 დოლარი მოიგო. მან ამ თანხით კიდევ რამდენიმე ბილეთი შეიძინა. ერთ-ერთმა ხუთდოლარიანმა ბილეთმა კი ოჯახურ წყვილს 200 ათასი დოლარის მოგება მოუტანა.

– გული კინაღამ მკერდიდან ამომიხტა. მანქანიდან გადმოვხტი, ბილეთი მაღაზიის დახლზე დავაგდე და მისი სკანირება მოვითხოვე, რათა ჩემ მოგებაში დავრწმუნებულიყავი, – აღნიშნა მამაკაცმა.

ცოლ-ქმარი მოგებული ფულით ახალი ავტომობილის შეძენას და სახლის რეკონსტრუირებას აპირებს.

ავსტრიელი მხატვრის სკამი ათასობით დოლარად გაიყიდა

ინგლისის აღმოსავლეთ სასექსის საგრაფოს ქალაქ ბრაიტონის მეორადების ბაზრობაზე უმნიშვნელო თანხად შეძენილი სკამი ცნობილი მხატვრის ნამუშევარი აღმოჩნდა და აუქციონზე 21 ათას დოლარზე მეტ ფასად გაიყიდა.

მეორადების ბაზრობაზე ქალმა ხის და როტანგისგან დამზადებული სკამი 7 დოლარად შეიძინა.

– მე ის სახლში მივიტანე და გადავწყვიტე უფრო გულდასმით დამეთვალიერებინა. ის საკმაოდ საინტერესოდ გამოიყურებოდა. სკამის რამდენიმე ფოტოსურათი ვიქტორიის და ალბერტის მუზეუმს გავუგზავნე, მაგრამ მათგან პასუხი არ მიმიღია, – განაცხადა ქალმა.

მაშინ ქალმა შწორდერს-ის აუქციონის სახლს მიმართა ნივთის გასაყიდად. მათ სკამის მონაცემები ავეჯის სპეციალისტ ჯონ ბლეკს გადაუგზავნეს და მან მაშინვე უპასუხა ქალს. ბლეკმა დაადგინა, რომ აღნიშნული სკამი 1902 წელს ავსტრიელმა მხატვარმა კოლომან მოზერმა შექმნა. მან კონსულტაცია გაიარა ვენის სეცესიონის სპეციალისტთან და მისი ავტორობა დაუდასტურა.

მოზერი ვენის უნივერსიტეტში სახვით ხელოვნებას ასწავლიდა. მის მიერ შექმნილი სკამი ტრადიციული სკამის თანამედროვე ინტერპრეტაციას წარმოადგენდა. საბოლოოდ აუქციონზე ავსტრიელი მხატვრის მიერ დამზადებული სკამი 21,8 ათას დოლარად გაიყიდა.

ავსტრალიაში მილიონებს დახარჯავენ კოალების გადასარჩენად

ავსტრალიის ხელისუფლება მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში 50 მილიონ ავსტრალიურ დოლარს დახარჯავს კოალების დასაცავად. ამ ინფორმაციას ქვეყნის პრემიერ-მინისტრ სკოტ მორისონზე დაყრდნობით ერთ-ერთი ამერიკული საინფორმაციო ტელეარხი ავრცელებს.

– კოალები ავსტრალიის ერთ-ერთ ყველაზე ცნობად სიმბოლოს წარმოადგენენ. ჩვენ ვცდილობთ ისინი ჩვენი მომავალი თაობებისთვის გადავარჩინოთ, – განაცხადა პოლიტიკოსმა. იქვე დაზუსტებული იქნა, რომ ფული კოალების პოპულაციის, მათი საბინადრო ადგილის აღდგენას და ასევე, ადამიანებისთვის მათთან სწორი ურთიერთობის და მოვლის სწავლებას მოხმარდება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სპორტი

მორაგბეთა ნაკრებში ცვლილებებია

საქართველოს მორაგბეთა ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაში, რომელიც 2022 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება, ცვლილებებია.

32-კაციან შემადგენლობას კვაჭი გიორგი ჭყოიძე გამოაკლდა. მის ნაცვლად პრო დე 2-ის ორიაკიდან ლუკა ნიორაძეს უხმეს, რომელიც საფრანგეთში შესანიშნავ სეზონს ატარებს.

ნაკრებს შავი ლომიდან ასევე დაემატნენ ხაზის მოთამაშეები – ოთარ ლაშხი და სანდრო სვანიძე. სხვადასხვა დროს ნაკრების შეკრებაზე სამივე მოთამაშე ყოფილა, თუმცა დებიუტი მხოლოდ სვანიძეს ჰქონდა – 2020 წლის „შემოდგომის ერთა თასზე“ ინგლისის წინააღმდეგ.

შეგახსენებთ, 6 თებერვალს „ბორჯღალოსნები“ „მიხეილ მესხზე“ პორტუგალიას, 15 საათზე მასპინძლობენ, ხოლო 12 თებერვალს ამსტერდამში ნიდერლანდებს, ჩვენი დროით 16:15 საათზე ეთამაშებიან.

საქართველოს ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა 2022 წლის საწყისი 2 მატჩისთვის ასეთია:

შერკინება: გურამ გოგიჩაშვილი, მიხეილ ნარიაშვილი, ნიკა აბულაძე, ბექა გიგაშვილი, ლუკა ჯაფარიძე, ლუკა აზარიაშვილი; შალვა მამუკაშვილი, ვანო კარკაძე, ლუკა ნიორაძე; ლაშა ჯაიანი, ნოდარ ჭეიშვილი, გრიგორ ქერდიყოშვილი, კოტე მიქაუტაძე; გიორგი ცუცქირიძე, თორნიკე ჯალაღონია, ოთარ გიორგაძე, ლუკა ივანიშვილი, სანდრო მამამთავრიშვილი;

ხაზი: ვასილ ლობჟანიძე, გელა აფრასიძე, მიხეილ ალანია, თედო აბჟანდაძე, გიორგი ბაბუნაშვილი; მერაბ შარიქაძე, აკა ტაბუცაძე, დემე თაფლაძე, ლაშა ლომიძე, მირიან მოდებაძე, თორნიკე კახოიძე, დავით მესხი, ოთარ ლაშხი; სანდრო სვანიძე, ლაშა ხმალაძე, დავით ნინიაშვილი.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

განცხადებები

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე მისვლით. კეთდება მხოლოდ იტალიური და იაპონური მოსახსნელი კბილის პროთეზები. გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

ავთანდილ ასათიანი: „ჩემი გუნდით ამაყი და თავაწეული ვარ“

ევრო 2022-ის მეოთხედფინალში საქართველოს ფუტსალის ნაკრები რუსეთს შეხვდება. მატჩამდე საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ავთანდილ ასათიანმა პრესკონფერენციაზე ისაუბრა.

ავთანდილ ასათიანი:

– რუსეთი ახლა უფრო ძლიერია, ვიდრე შესარჩევ ეტაპზე იყო. კარგი განწყობა გვაქვს და იმის საბაბი, რომ თავაწეულებმა ვითამაშოთ, რადგან ბიჭებმა საკუთარი ქვეყნის გამო ბევრი რამ გააკეთეს. რაც უფრო თავაწეული და ამაყი ხარ, დიდი აღბათობაა, ბევრად უკეთესად ითამაშო. გვესმის, რომ ძალიან ძლიერ მეტოქესთან გვაქვს საქმე. რთულ თამაშს ველოდებით, მაგრამ ჩვენი სტრატეგია გვექნება. ცხადია, რუსეთის ნაკრების შესწავლა დავიწყეთ. ვგულისხმობ როგორც პლუსებს, ასევე მინუსებს. ვეცდებით, ჩვენი თამაში მოვახვიოთ თავს და ვაჩვენოთ, რომ მოედანზე საქართველოს ნაკრების სახით ძლიერი მეტოქე ჰყავთ. ზვიად კუპატაძე მზადყოფნაშია. ელისანდრო ივარჯიშებს და თავად გვეტყვის, შეძლებს თუ არა რუსეთთან მატჩში მონაწილეობის მიღებას. დიდი იმედი გვაქვს, რომ ელისანდრო მოედანზე იქნება. არ მაქვს ინფორმაცია ქართველი ქომაგების თამაშზე დასწრებასთან დაკავშირებით, მაგრამ დარწმუნებული ვარ, თუ 1%-ით მაინც შეეძლებათ თამაშზე მოსვლა, ჩვენს ნაკრებს აუცილებლად მხარში დაუდგებიან.

ავთანდილ ასათიანთან ერთად პრესკონფერენციას შოთა თოფურია ესწრებოდა:

– ესპანეთთან დასანანი მარცხი ვიწვნიეთ, მაგრამ ეს უკვე წარსულია. გუნდში კარგი განწყობაა, ვიცით, ვისაც ვეთამაშებით და ასეთ მნიშვნელოვან თამაშში მონაწილეობა, ჩვენთვის პატივია. ვეცდებით, ჩვენი ქვეყანა ღირსეულად წარმოვაჩინოთ.

საქართველო-რუსეთის მეოთხედფინალური მატჩი 1 თებერვალს ამსტერდამში გაიმართება და 20:00 საათზე დაიწყება.

საქართველოს სუპერთასს ქუთაისი უმასპინძლებს

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, 2022 წლის სუპერთასის ჩატარების დრო და ადგილი ცნობილია.

საქართველოს სუპერთასის შეხვედრას 20 თებერვალს ქუთაისის რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონი უმასპინძლებს. 2022 წლის სეზონის პირველი მატჩი 18:00 საათზე დაიწყება და ერთმანეთს ქვეყნის ჩემპიონი ბათუმის დინამო და თასის მფლობელი საბურთალო შეხვდებიან.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი დრო ფრედ დასრულდა, დამატებითი დრო არ დაინიშნება და გუნდები პირდაპირ პენალტების სერიას დაიწყებენ.

სხვათა შორის, საქართველოს თასის ნახევარფინალში ეს გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს და საბურთალომ მოიგო.

სუპერთასის მატჩზე დასწრება თავისუფალია. ქვეყანაში არსებული კოვიდრეგულაციების გათვალისწინებით მატჩებზე სტადიონის ტევადობის 33 %-ის შესაბამისი გულშემატკივართა რაოდენობა დაიშვება.

შედეგები

30 იანვარი

ფეხბურთი

მჩ-2022. საკვალიფიკაციო ეტაპი
კონკაკაფი

პანამა-იამაიკა	3:2
მექსიკა-კოსტა რიკა	0:0
ჰონდურასი-სალვადორი	0:2

აფრიკის ერთა თასი

ეგვიპტე-მაროკო	2:1(დდ)
სენეგალი-ეკ.გვინეა	3:1

ინგლისი. ჩემპიონლიგა

დერბი-ბირმინგემი	2:2
კარდიფი-ნოტინგემი	2:1

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ლეგანესი-ალკორკონი	1:0
კარტახენა-ფუენლაბრადა	3:0
ლას პალმასი-სოსიედადი	0:0
მირანდესი-მალაგა	3:0
პონფერადინა-ტენერიფე	1:2

იტალია. სერია ბ

ვიჩენცა-ალესანდრია	2:1
პარმა-კროტონე	1:1
ჩიტადელა-კოზენცა	1:1

პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

ვიზელა-გიმარაეში	3:2
პორტიმონენშე-ტონდელა	1:2
ბრაგა-მორეირენშე	2:0
პორტუ-მარიტიმუ	2:1

ბელგია. ა დივიზიონი

სენ ჟილუა-ანდერლეხტი	1:0
გენტი-ანტვერპენი	0:1
სტანდარდი-მეხელენი	1:2
კორტრაიკი-ბრიუგე	0:1

საბერძნეთი. სუპერლიგა

პანეთოლიკოსი-არისი	0:2
იანინა-აპოლონი	2:0
აეკი-ვოლოსი	1:2
პაოკი-ოლიმპიაკოსი	1:1

შვეიცარია. სუპერლიგა

ლოზანა-სტ.გალენი	1:5
ლუცერნი-ბაზელი	0:3
სიონი-გრასჰოპერსი	2:0

უნგრეთი. 1 დივიზიონი

პუშ.აკადემია-ფეჰერვარი	1:0
მესეკოვეშდი-მტკ	1:1
უიპეშტი-ფერენცვაროში	0:1

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა.

მადლიერ პაციენთა რიცხვი ათასობითაა:

ლია თეთრაშვილი: მქონდა მკერდის გამაგრება, მასტოპათია. ლამარა თოდუას მკურნალობით მთლიანად განვიკურნე.

დათო ჭელიძე: წლების განმავლობაში ვიტანჯებოდი ბუასილით. ყველას ვურჩევ, მიაკითხოს ლამარა თოდუას, ნამდვილად სასწაულს ახდენს მისი მალამო.

ჟანა ამირანაშვილი: ბავშვს საბავშო ბაღში გადაედო ტილები, შემდეგ მთელს ოჯახს გადაგვდო. ლამარა თოდუას მიერ დამზადებული ნაყენით ერთ პროცედურის შემდეგ სრულიად გავთავისუფლდით.

ლილი კიზირია: 83 წლის დედას წლები აწუხებდა ჰაიმორიტი, არც კი მჯეროდა, რომ მორჩებოდა, თოდუოების მალამოთი დედა დღეს თავს შესანიშნავად გრძნობს.

დღესასწაულების შემდეგ, ხშირად უჩივიან გულძმარვას (იჟოგას), ლამარა თოდუას გამწმენდი სითხეებით პრობლემა მოგეხსნებათ.

გაზაფხულზე ავიტამინოზი ხშირად თმის ბუდობრივი ცვენის მიზეზი ხდება. ლამარა თოდუა თავისი მალამოებით თმის ამოსვლის გარანტიას პირდება ყველა პაციენტს, ვინც მას მიაკითხავს.

ლამარა თოდუას მადლიერების წიგნი 5 ათასამდე მორჩენილი პაციენტის ჩანაწერებს ითვლის, სადაც ხშირად ამოიკითხავთ – „განვიკურნე სრულიად“.

ლამარა თოდუა კვალიფიციური კოსმეტოლოგია და მის მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს. არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

სალაჰი სავარჯიშოდ მისვლას 9 საათი ანდომებდა

მოჰამედ სალაჰი თანამედროვე ფეხბურთში ერთ-ერთი წარმატებული ფიგურაა. მო ამჯერად აფრიკის თასზე თამაშობს და ეგვიპტის ნაკრებთან ერთად მის მოპოვებას აპირებს.

მო – საკულტო პიროვნებაა ეგვიპტეში. მასზე წერენ სახელმძღვანელოებში, მის გვარს წერენ საპრეზიდენტო არჩევნების ბიულეტენებში და, უბრალოდ, აღმერთებენ.

თუმცა, სალაჰს გადამეტებული ყურადღება აბრაზებს. მაგალითად, 2019 წლის ივნისში, რამადანის ბოლო დღეს, სალაჰი ოჯახთან ერთად მშობლიურ სოფელ ნაგრიგში ჩავიდა.

ოჯახის წევრები მეჩეთში ლოცვას ერთად აპირებდნენ, მაგრამ მის სახლთან უამრავი ადამიანი შეიკრიბა. ხალხი მოდიოდა სხვადასხვა პროვინციიდან, რათა ვარსკვლავთან ფოტო გადაეღოთ ან დახმარება ეთხოვათ. შედეგად, სალაჰმა ლოცვა გამოტოვა, ოჯახთან ერთად დრო ვერ გაატარა და ძალიან გაბრაზდა.

მო სალაჰი:

– ოჯახთან ერთად სასეირნოდ გამოვედი და სალოცავად მივდიოდი. უცებ, ვხედავ, ქუჩაში 300-400 ადამიანს. ძალიან გავბრაზდი. დედამ ტირილი დაიწყო, დაც და ცოლიც ტიროდა. მათ უნდოდათ, რომ მეჩეთში წავსულიყავი. მამაჩემი იმედგაცრუებული იყო. მეც მათთან ერთად ყოფნა მინდოდა, მაგრამ მესმის, რომ ხალხს უხარია ჩემი დანახვა. ამას უნდა შევურიგდე.

2017 წლის ნოემბერში სალაჰის ბინა თუ ავტომობილი (აქ ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციები ვრცელდება) ქურდმა გაძარცვა და 1.900 დოლარი მოიპარა. 2 დღის შემდეგ ქურდი იპოვეს და დაუპატიმრეს, სალაჰის მამამ კი სასამართლოში სარჩელი შეიტანა. თუმცა, ფეხბურთელმა სთხოვა უკან გამოეტანა საჩივარი. სალაჰი ქურდს შეხვდა და ცოტაოდენი ფულიც აჩუქა.

– ქურდობას მხარს არ ვუჭერ. თუმცა, დარწმუნებული ვარ, ამ ძარცვისთვის საფუძვლიანი მიზეზი ჰქონდა. ვგრძნობდი, რომ მას ეს ტყუილუბრალოდ არ გაუკეთებია. პოლიციელებმა მამას უთხრეს, რომ ძალიან ღარიბი ბიჭი იყო და არაფერი გააჩნდა. ამიტომაც ვუთხარი მამას – „უბრალოდ, დაეხმარე და თავი დაანებე“.

13 წლის სალაჰი პირველად ქაიროს კლუბის ერაბ კონტრაქტორსის სკაუტებმა შეამჩნიეს. მალე პირველი კონტრაქტიც გააფორმა და თვეში 20 დოლარს იღებდა. მაგრამ იმისთვის, რომ ვარჯიშზე მოხვედრილიყო, წინ და უკან 4-4 საათი მგზავრობა უწევდა, თან 3 ავტობუსს იცვლიდა.

სკოლაში მეცადინეობა დილის 7 საათზე იწყებოდა, 2 საათის შემდეგ მიდიოდა გაკვეთილებიდან, რადგან კლუბი გათავისუფლების ცნობას უწერდა. ავტობუსის გაჩერებამდე ფეხით დიდ მანძილს გადიოდა, ტრანსპორტში ჯდებოდა და მეზობელ ქალაქ ბასიუნში ჩადიოდა. ბასიუნიდან ტანტამდე მიდიოდა, შემდეგ – ქაიროში „რამზესის“ სტადიონზე. ბოლოს იყო მე-4 მარშრუტი – მოედნიდან კლუბის ბაზამდე.

ვარჯიში 2 საათი გრძელდებოდა, მაგრამ სალაჰი შემდეგაც რჩებოდა, რათა საფეხბურთო ილეთები დაეხვეწა. შინ დაახლოებით 18 საათზე მიემგზავრებოდა. ბუნებრივია, ხელფასი ვერ ფარავდა თუნდაც ერთი კვირის მგზავრობას, ამიტომაც დანარჩენ ხარჯს საკუთარ თავზე მამა იღებდა.

– ვიცი, 9 საათი მგზავრობა ნამდვილ სიგიჟედ მოჩანს, მაგრამ ამას ვაკეთებდი, რადგან მომწონდა. მინდოდა იქ ვყოფილიყავი, სადაც ახლა ვარ. ამიტომაც არ მეჩვენებოდა, რომ ეს რთული იყო.

სალაჰი აღიარებს, რომ ჩელსიში გადასვლამდე ყველაფერი კარგად არ აწონ-დაწონა. კლუბი დაკომპლექტებული იყო ვარსკვლავური ფეხბურთელებით, მოურინიოს კი სასტარტო შემადგენლობის როტაცია არ უყვარდა.

ჩელსიში მოჰამედი მცირე სათამაშო დროს იღებდა და ხშირად შემადგენლობის მიღმა რჩებოდა. ლონდონში სალაჰს აკრიტიკებდნენ. ამბობდნენ, რომ ძალიან ადრე გადავიდა დიდ კლუბში.

– ჩემთვის ეს ფსიქოლოგიურად რთული იყო. არ შემეძლო იმ წნეხს გავმკლავებოდი, რომელიც პრესის მხრიდან მოდიოდა. ცოტას ვთამაშობდი და ვგრძნობდი, რომ უნდა წავსულიყავი.

ჩელსიმ სალაჰი ფიორენტინაში იჯარით გაუშვა. მოს იტალიაში მოეწონა. ფლორენციაში წარმატებული სეზონის შემდეგ კი, რომაში გადავიდა.

– შენ 2 ვარიანტი გაქვს: უთხრა ადამიანებს, რომ ისინი მართლები იყვნენ და დაჯდე სათადარიგოთა სკამზე, ან დაამტკიცო, რომ ისინი ცდებოდნენ. მე უნდა დამემტკიცებინა, რომ მართლები არ იყვნენ. ძალიან შემცვალა ნაპოლეონ ჰილმა. ის ერთ-ერთი ავტორია, ვინც საკუთარი თავის რწმენაზე ლაპარაკობდა. ჩემთვის თითოეული მომდევნო წიგნი მის ნათქვამს ეფუძნებოდა. საუკეთესო, რაც შეიძლება მოიფიქრო, საკუთარ თავთან სერიოზული საუბარია. უბრალოდ, დალიე ყავა, დაჯექი, საკუთარ თავს ჰკითხე – რა გსურს. ზოგიერთ ადამიანს არ შეუძლია საკუთარ თვალებში ჩაიხედოს. მე კი, ამასთან დაკავშირებით პრობლემა არ მაქვს. თუ მიჭირს, საკუთარ თავს თვალებში ვუყურებ.

იტალიის დედაქალაქ რომში სალაჰმა სახლი იქირავა და უკანა ეზოში სავარჯიშო მინდორი მოაწყო.

– ზოგიერთ სიტუაციას მანამდე უნდა შეეჯახო, სანამ ის მოხდება. რადგან, როცა რაღაც მოვლენა ხდება, შენ ის უკვე გამოცდილი გაქვს.

სალაჰმა ამგვარი მენტალური პრაქტიკა რომაში მეორე სეზონისას დაიწყო. ამან წარმატება მოუტანა: 15 გოლი, 11 შედეგიანი პასი და მე-2 ადგილი სერია ა-ში.

სალაჰის კონტრაქტი ლივერპულთან 2023 წლის ზაფხულში იწურება. თუმცა, სალაჰი ხელფასის გაზრდას – არაოფიციალური ინფორმაციით, აგენტებს სურთ, რომ ლივერპულმა ეგვიპტელს ხელფასი გაუორმაგოს.

– მინდა დარჩენა, მაგრამ სიტუაცია ჩემს ხელში არ არის. ეს კლუბის ხელშია. მათ იციან, რა მინდა. განსაკუთრებული მოთხოვნები არ მაქვს. ლივერპულში უკვე 5 წელია ვარ. კარგად ვიცნობ კლუბს. მიყვარს გულშემატკივრები, მათაც ვუყვარვარ, მაგრამ ხელმძღვანელობისთვის სიტუაცია ცნობილია. მათ ხელშია ყველაფერი.

ობამეიანგი ბარსას ფეხბურთელი გახდება

გაბონელი ფეხბურთელი, პიერ-ემერიკ ობამეიანგი ბარსელონაში ჩაფრინდა, სადაც ჟურნალისტები დახვდნენ. ობამეიანგი კატალონიური კლუბის ფეხბურთელი გახდება.

ესპანური მედიის ცნობით, ლა ლიგის სახელფასო რეგულაციების მიხედვით, ბარსელონას ამ მომენტისთვის 2 მილიონი ევროს გამოყენების უფლება აქვს. ჩავი ობამეიანგს უკვე ესაუბრა. ფეხბურთელი მზადაა, რომ ანაზღაურება, რომელიც არსენალში ჰქონდა, მნიშვნელოვნად შეიმციროს.

განსხვავებულ ინფორმაციას ავრცელებს ჟურნალისტი ფაბრიციო რომანო, რომელიც ამბობს, რომ ობამეიანგის დასარეგისტრირებლად ბარსას ფეხბურთელების გაშვება სჭირდება.

პრობლემის გადაჭრის შემთხვევაში, ობამეიანგი „ბლაუგრანას“ 6-თვიანი იჯარით შეუერთდება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. შვეიცარიელი საზოგადო მოღვაწე, წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციის დამფუძნებელი; 2. სამარკო და საკოლექციო ღვინოების საცავი; 3. მსხვილი სააქციონერო, ფინანსურ-სამრეწველო გაერთიანება; 4. მდინარე პრაღაში; 5. დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ხორბლის უძველესი ქართული ჯიში; 8. ქართველი კომპოზიტორი; 9. ფრინველის საჭერი მახე; 12. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 13. დედამიწის ჩრდილო პოლარული ზონა; 16. სომალის დედაქალაქი; 17. რბილი ფერადი ფანქრები ხატვისთვის; 19. მდინარე კიევში; 20. ესპანური ღვინო.

თარაზულად: 6. იტალიელი მწერალი, დრამატურგი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 7. ამა თუ იმ ადგილის ჰავა, ამინდის რეჟიმი; 8. სასამართლოს მიერ, კერძო პირის ან ორგანიზაციის ქონების ან ფულადი სახსრების გამოყენების აკრძალვა; 10. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ეროვნული გმირი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 11. მარცვლეულის შესანახი ძველებური ხის ნაგებობა; 14. სავაჭრო სახლი, სასტუმრო ძველად; 15. მსხვილი საკარმიდამო მამული ლათინურ ამერიკაში; 18. სადაზღვევო მოწმობა; 21. სამონასტრო კომპლექსი კახეთში; 22. ხურდა ფული აშშ-ში; 23. უწყინარი ხასიათის დაცინვა; 24. შვეიცარიული ფარმაცევტული ფირმა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ახტალა; 2. სოჭი; 3. ჰამილტონი; 4. ცეკვა; 5. კაპრიზი; 8. პანედა; 9. პალესტინა; 12. იშხანი; 14. ალმასი; 16. იგავი.

თარაზულად: 1. ანტრესოლი; 6. ზარზუელა; 7. ტყაპუჭი; 9. პუჩინი; 10. ხაში; 11. ბეითალი; 13. მუაში; 15. უშქარი; 17. დიპლომი; 18. ჯაპანა; 19. ფაუსტი; 20. ლიტანია.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ბაგრატი; 2. მენჩიკი; 3. პირსინგი; 4. ტუნისი; 5. ფერხული; 8. ბიბლისი; 9. მოწამეთა; 12. ბერნარდი; 13. ჭიშკარი; 16. გაგრიფში; 17. ძილქუში; 19. აღლუმი; 20. მექისე.

თარაზულად: 6. ჯარაექიმი; 7. კუბდარი; 8. ბესონი; 10. კაოლინი; 11. მუდო; 14. კვიპროსი; 15. ქრისტინე; 18. ხაიამი; 21. ღერღილი; 22. სელბი; 23. იანუსი; 24. ტიტესტერი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

1 თებერვალი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0518

ევრო — 3.4104

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.1028

100 რუსული რუბლი — 3.9312

ამინდის პროგნოზი 1 თებერვლისათვის

ვეფხვის და ტახის ორთაბრძოლა ვიდეოზე გადაიღეს



გააფთრებული ძუ ვეფხვი ტახთან სამკვდრო სასიცოცხლო ორთაბრძოლაში ჩაება. ეს ყოველივე ინდოეთის რაჯასტანის შტატში პანტამბორის ეროვნულ პარკში მოხდა.

ვეფხვის და ტახის ორთაბრძოლა ვიდეოზე ფოტოგრაფმა მ.დ. პარაშარმა გადაიღო. ვიდეოჩანაწერში, რომელიც დაახლოებით 20 წამი გრძელდება, ჩანს, თუ როგორ გადაეყარნენ ცხოველები ერთმანეთს ძირს დაყრილ ფოთლებს შორის. ვეფხვმა მსხვერპლს ეშვები კისერში გაუყარა, ხოლო თათები ცხვირ-პირში დაუშინა. ტახი კი ჭყვიტინებს და გაქცევას ცდილობს.

პარაშარის თქმით, ის ცხოველების დაპირისპირების თვითმხილველი პარკის პირველ ზონაში დაახლოებით დილის ცხრა საათზე გახდა. ძუ ვეფხვს, რომელიც ტახს თავს დაესხა, ნურ ტ-39 ქვია და ის 2012 წლიდან 2016 წლის ჩათვლით რამდენიმე ბოკვერის დედა გახდა.

ზოოპარკში დამთვალიერებელმა ბავშვი დათვის ვოლიერში გადააგდო

უზბეკეთის დედაქალაქ ტაშკენტში ზოოპარკში დამთვალიერებელმა ქალმა პატარა გოგონა კავკასიური მურა დათვის, სახელად ზუზს, ვოლიერში გადააგდო.

ზოოპარკის პრეს-სამსახურის ცნობით, 28 იანვარს, დღის 12 საათზე, ახალგაზრდა ქალმა, სხვა დამთვალიერებლების თვალწინ, ბავშვი ხელში აიყვანა და ღობის იქით, დათვის ვოლიერში გადააგდო.

როდესაც ხუთი მეტრის სიმაღლიდან გადაგდებული გოგონა ზუზუს ტერიტორიაზე აღმოჩნდა, დათვი მასთან მშვიდად მივიდა, დასუნა და გაეცალა. მომხდარზე დაწესებულების თანამშრომლებმა ოპერატიული რეაგირება მოახდინეს. მათ ცხოველი ვოლიერის შიდა ნაწილში შეიტყუეს და ჩაკეტეს. აღსანიშნავია, რომ ცხოველს მათთვის არანაირი წინააღმდეგობა არ გაუწევია. გოგონა ექიმებმა გამოიკვლიეს, მართალია მას სერიოზული დაზიანებები არ აღმოაჩნდა, თუმცა სხეულზე აშკარად ეტყობოდა დაჟეჟილობები. მისი მკურნალობის ხარჯები საკუთარ თავზე ზოოპარკის წარმომადგენლებმა აიღეს. პოლიციამ მომხდარის გამოძიება დაიწყო.

მშობლებს ბავშვი სუპერმარკეტის ურიკაში დარჩათ

ბრაზილიაში მშობლებს ბავშვი სუპერმარკეტის ურიკაში დარჩათ, თავად კი სახლში წავიდნენ.

აღნიშნული ინციდენტი სანტა-კატარინას შტატის ლაჟისის მუნიციპალიტეტში მოხდა. მაღაზიებში სიარულის დროს მომხმარებლები გაოგნებულები აღმოჩნდნენ ნანახით. ისინი გადააწყდნენ ოთხი თვის ბიჭს, რომელიც სუპერმარკეტის ურიკის ავტოსავარძელში იჯდა. მისი მშობლები ადგილზე არ აღმოჩნდნენ. მომხმარებლება ფაქტის შესახებ სუპერმარკეტის დაცვას და პოლიციას აცნობეს.

ადგილზე პოლიციის მისვლამდე სუპერმარკეტში ბავშვის მშობლები დაბრუნდნენ. მათ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს აუხსნეს, რომ გამოვიდნენ მაღაზიიდან, პროდუქტები მანქანაში ჩააწყვეს და სახლში გაემგზავრნენ ისე, რომ ბავშვის მანქანაში ჩასმა დაავიწყდათ. მისი არყოფნა თავიდანვე არ შეუნიშნავთ. პოლიციამ გადაწყვიტა, გულმავიწყი მშობლების მიმართ არანაირ სადამსჯელო ღონისძიებას არ მიმართოს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

1 თებერვლისათვის

ვერძი – სამსახურში წარმატება გელით, თუმცა პლანეტები გაფრთხილებენ, ნუ იჯიუტებთ. **კურო** – დროებით დეპრესია შემოგიტევთ, მაგრამ სულ მალე ღრუბლები გაიფანტება და თავს ისევ ხალისიანად და ლაღად იგრძნობთ. **ტყუპები** – იშრომეთ, ისწავლეთ და შედეგიც არ დააყოვნებს. ნუ დაწვრილმანდებით. **კირჩხიბი** – ემოციები მოთოკეთ. მეორეხარისხოვან თემებზე გაბრაზება არ ღირს. **ლომი** – იზრუნეთ პროფესიონალურ სრულყოფაზე. მიზნის მიღწევისას დაბრკოლებების გადალახვა მოგიწევთ. **ქალწული** – საკუთარი პრინციპების დაცვას ნუ ეცდებით და ნურც ნურავის შეეჯიბრებით. ერიდეთ კონფლიქტურ ადამიანებს. **სასწორი** – კრიტიკული დღეა. ყოფითი პრობლემების მოგვარება იოლი არ იქნება. **ღრიანკალი** – ინტუიციას მიენდეთ, რომელიც დღეს განსაკუთრებით გაგიმახვილდებათ. დახმარებისთვის მეგობრებს მიმართეთ. **მშვილდოსანი** – დროს უქმად ნუ დაკარგავთ. ჭორებს არ აჰყვეთ. **თხის რქა** – პირად ცხოვრებაში ყველაფერი რიგზე გაქვთ. პარტნიორის აზრს პატივი ეცით. **მერწყული** – ყოფით პრობლემებზე მაღლა დადექით. საკუთარი თავი კრიტიკულად შეაფასეთ. **თევზები** – იმედი გიცრუვდებათ. ნუ იქნებით მიამიტი. რეალობა სათანადოდ მიიღეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

●●●

კაცი ქალს ეკითხება:
– საზამთროს რატომ არ ჭამთ?
– ყურები მესვრება...

●●●

ხალხით სავსე ავტობუსის მძღოლი მგზავრებს მიმართავს:
– შემჭიდროვდით ნაძვის ხესავით!
– არ გამოდის, გირჩები გვიშლის ხელს!

●●●

ერთი ბიჭი მეორეს ეუბნება:
– გუშინ გოგო გავიცანი, ძალიან მომეწონა!
– ტელეფონი მაინც თუ გამოართვი?
– აბა რა, აი ნახე, რა მაგარია!

●●●

მამაკაცს ეკითხებიან:
– არჩევანის წინაშე რომ დაგაყენონ: მწვადი, სექსი თუ ალკოჰოლი, რომელს აირჩევდით?
– ტირილს.

●●●

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:
– ძალიან მგრძნობიარე გული მაქვს.
– რაში გამოიხატება?
– ქმარს რომ ვცემ, მერე ორი დღე ვქვითინებ...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მსახიობი ოლეგ თავაძე გარდაიცვალა

სიმსივნესთან ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ, მსახიობი ოლეგ თავაძე გარდაიცვალა. მისთვის სიცოცხლის გასახანგრძლივებლად ოჯახის წევრები, მეგობრები, კოლეგები საქველმოქმედო საღამოებს მართავდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ხელოვანის გადარჩენა ვერ მოხერხდა.

ინფორმაცია მომღერალმა მიხეილ ზაქარიაშვილმა გაავრცელა:

– შეჭამა ამ სიმსივნემ კაცი. ეჰ! ოლეგ თავაძე აღარ გვყავს. ბოლომდე ვაჟკაცურად იბრძოლა, არავის ახვევდა თავს თავის გაჭირვებას, სულ იღიმოდა სულ ყველას ეფერებოდა! ძალიან დამენანა, კუჭკუჭის ეძახდა თავის თავს და ამაზე თავად ხალისობდა, უძლიერესი მსახიობი იყო თავის ჟანრში. ნათელში იყავი, ოლეგ.

სალომე ჭაჭუა ირლანდიური „ცეკვავენ ვარსკვლავების“ შემდეგ ტურში გადავიდა

სალომე ჭაჭუამ და მისმა მეწყვილემ ჯორდან ქონროიმ „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მესამე საკონკურსო ტურიც წარმატებით გაიარეს და მომდევნო ეტაპზე გადავიდნენ.

სალომემ და ჯორდანმა „ჩა ჩა ჩა“ ცნობილი ანიმაციის „მადაგასკარის“ სიმღერაზე იცეკვეს. სალომე ზებრას კოსტიუმში იყო წარმოდგენილი, ჯორდანი კი – ლომის.

ირლანდიური „ცეკვავენ ვარსკვლავების“ ჟიურისა და მაყურებლის გადაწყვეტილებით, სალომე და ჯორდანი მეოთხე საკონკურსო ტურშიც იცეკვებენ.

„მასტერშეფის“ მეშვიდე სეზონი იწყება

კულინარიული შოუს „მასტერშეფის“ ახალი, რიგით მეშვიდე სეზონი იწყება.

სულ მალე საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში ყველაზე რეიტინგული კულინარიული შოუ ათასობით მაყურებელს ახალ კონკურსანტებს გააცნობს.

შოუში მონაწილეობა ნებისმიერ მსურველს შეუძლია, ვინც საკუთარ კულინარიულ შესაძლებლობებში დარწმუნებულია და ექსპერიმენტებიც არ აშინებს.

უსინათლოთა კულტურის ცენტრის დირექტორი ცირა ვეფხვაძე თანამდებობიდან გაათავისუფლეს

ფონიჭალის უსინათლოთა კულტურის ცენტრის დირექტორი ცირა ვეფხვაძე დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

ინფორმაცია მაკა სახურიამ გაავრცელა:

– ასეთი ამბებია ფონიჭალის უსინათლოთა კულტურის ცენტრში. აღვადგინოთ სამართალი! დავუბრუნოთ ცენტრს თავისი უნიკალური დირექტორი ცირა ვეფხვაძე!

ფონიჭალაში ათწლეულებია ფუნქციონირებს უსინათლოთა კულტურის ცენტრი, რომელსაც ბოლო 11 წელია ცირა ვეფხვაძე ხელმძღვანელობს. კულტურის ცენტრი შემოქმედებითად აქტიური, ცოცხალი და პროდუქტიული კულტურული დაწესებულებაა. ცირა გახლავთ განუმეორებელი ლიდერი, რომელიც სტიმულს აძლევს თანამშრომლებს და ხელს უწყობს თვითრეალიზაციაში. ის უმაღლესი კვალიფიკაციის ფილოლოგია, უნიჭიერესი პოეტი, მსახიობი, აქვს ურთიერთობების გამორჩეული კულტურა, იშვიათი ჰუმანიზმი, რის გამოც თანამშრომლებს ძალიან უყვართ და მის გარეშე ვერ წარმოუდგენიათ კულტურის ცენტრის არსებობა.

ცირა მუდმივად იბრძვის ცენტრის მწირი დაფინანსების გასაზრდელად, რათა ისედაც დაბალი ხელფასების გაცემა არ შეფერხდეს. მან შექმნა და უზრუნველყო ცენტრში სამუშაოდ მოწესრიგებული, ჰარმონიული, კომფორტული გარემო, ყოველთვის ხელს უწყობს ჰუმანური, კოლეგიალური ატმოსფეროს შექმნას. თანამშრომლებს მიუხარიათ ცენტრში, აქაურობა ყველასთვის საკუთარი სახლივით თბილი და სასურველია.

ცენტრში ფუნქციონირებს დრამატული წრე, რომელიც საოცარ წარმოდგენებს დგამს მაღალპროფესიონალურ დონეზე, ქალთა და ვაჟთა ანსამბლები, გამოიცემა ჟურნალი, რომელშიც იბეჭდება უაღრესად საინტერესო მასალები უმაღლესი აკადემიზმით, ხოლო ბიბლიოთეკა ემსახურება ასობით მკითხველს. ამ ყველაფრის სული და გული გახლავთ სწორედ ცირა ვეფხვაძე. რომ არა მისი გონიერება, ნიჭიერება და საქმისადმი უსაზღვრო სიყვარული, ეს ყველაფერი ვერ შეიქმნებოდა.

ცირას უკანასკნელ თვეებში უსაფუძვლოდ უპირისპირდებოდა უსინათლოთა კავშირის ყოფილი თავმჯდომარე რეზო მაისურაძე, რომელიც მუდმივად ქმნიდა პრობლემებს დაფინანსებაზე. ამჟამად ის აღარ არის კავშირის თავმჯდომარე, გამგეობის წევრი და მრჩეველია, თუმცა გამგეობას სრულად აკონტროლებს. ეს დაპირისპირება სხვა არაფერია, თუ არა ცირას დევნა განსხვავებული აზრის გამო.

2022 წლის 28 იანვარს ცენტრის თანამშრომლები საკვირველი მოვლენის მომსწრენი გახდნენ. სრულიად მოულოდნელად კავშირმა ფარულად, დირექტორთან და თანამშრომლებთან შეუთანხმებლად, თანამდებობიდან გაათავისუფლა ცირა ვეფხვაძე და ამ თანამდებობაზე დანიშნა მისი მოადგილე ალექსანდრე ლაბაძე. კავშირის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ცირას მიმართ ცილისმწამებლური და ღირსების შემლახველი განცხადება. ეს საკადრო ცვლილება შოკისმომგვრელი, უსამართლო და მიუღებელია თანამშრომლებისთვის, რომლებიც კატეგორიულად მოითხოვენ ცირა ვეფხვაძის დაბრუნებას დირექტორის თანამდებობაზე. ისინი მზად არიან მზარი დაუჭირონ ცირას სასამართლო დავაში, ასევე სთხოვენ ფართო საზოგადოებას, კულტურის სამინისტროსა და საქართველოს პარლამენტს ცენტრის რეალობის გულთან ახლოს მიტანას, თანადგომას სამართლიანობის აღდგენისთვის ბრძოლაში.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოხვოხდი ↘



შვეულად: 1. საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი; 2. დაბალყელიანი, რბილი ტყავის ფეხსაცმელი ძველად საქართველოში; 3. სამონასტრო კომპლექსი გურიაში; 4. საავტომობილო ძრავას შიგა ცილინდრული, მოძრავი ნაწილი; 5. ფეოდალი მთავრების სახელწოდება შუა-საუკუნეების საქართველოში; 8. ცხოვრების, შრომის, კვების დადგენილი წესი; 9. წერილობითი ხელშეკრულება; 12. ბერძნული სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 14. მწვანით მოსილი, წყლიანი ადგილი უდაბნოში; 16. მდინარე ვოლგას არაბული სახელწოდება.

თარაზულად: 1. ქართული მონასტერი ბულგარეთში; 6. ავადმყოფური, ღრმა ძილის მდგომარეობა; 7. პატარა დროშა, ალამი; 9. ჰერმეტული კამერა წყალქვეშა სამუშაოებისთვის; 10. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 11. აღორძინების ეპოქის იტალიელი ფერმწერი; 13. ქიმიური ელემენტი, აირი; 15. ქართული მულტიპლიკაციის ფუძემდებელი; 17. წითელი ფერის ძველი სახელწოდება; 18. კლიმატური კურორტი ხაშურის რაიონში; 19. გოეთეს ტრაგედია; 20. ტკბილი, არომატული სპირტიანი სასმელი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა